პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით.

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. ს. ს. რ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მაღრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია: ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივანი 10—58

მთავარი კანტორა ტფილისი, რუსთველის პრ. № 26 ტელეფ. 5—43
ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.800.000 მან. განცხადება 12 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 175 ოთხშაბათი 1 აგვისტო, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 75,000 მან. № 175

ბიბლიოთეკა

დღიური

— ფინეთსა და რუსეთს შორის მოხდა შეთანხმება ფინეთის ყურეში გემების მიმოსვლის წესის შესახებ.

— ვარშავაში ჩამოვიდნენ ამერიკელი სენატორები ვინგი და ლედდი, რომლებიც მიემგზავრებიან მოსკოვში საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შორის სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის საკითხის გამოსარკვევად.

— გერმანიის სხვა და სხვა კუთხეებში სურსათ სანოვაგის ნაკლებობის გამო მოხდა გამოსვლები.

— ბერლინიდან მიღებულ ცნობებით ამ დღეებში კუნოს მთავრობა გადადგება.

საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის თბილისის კომიტეტი იუწყება,

რომ ოთხშაბათს, 1-ლ აგვისტოს, საღამოს 5 საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნება საქ. კომუნისტური ახალგაზრდობის თბილისის ორგანიზაციის საერთო საქალაქო და სამაზრო კონფერენცია.

დღის წესრიგი:

1. საერთაშორისო მდგომარეობა.—მომხსენებელი ამხ. ელიავა.
2. ახალგაზრდობის კომკავშირის სრულიად რუსეთის კონფერენციის შედეგები.—მომხს. ამხ. დევდარიანი.
3. ს. კ. ახალგაზრ. კავშირის თბილისის კომიტეტის ანგარიში და შემდეგი მუშაობის გეგმა.
4. სხვა და სხვა საკითხები.

კონფერენციის გახსნაზე მოწვეულნი არიან ს. კ. ა. კავშირის თბილისის ორგანიზაციის წევრები.

სთხოვენ ამხანაგებს ნუ დაიგვიანებენ.

მუშათა ყოფა-ცხოვრების საკითხები

მუშათა ყოფა-ცხოვრების საკითხების გაშუქებას ჩვენში ძალიან ცოტა ყურადღება ექცევა.

მუშა, როგორც მატერიალურ ღირებულებათა შემოქმედი და მწარმოებელი ფაბრიკებსა და ქარხნებში; მუშა, როგორც ადმინისტრატორი, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე; მუშა, როგორც პროფმუშაკი და მრავალი სხვა, ერთი სიტყვით, საზოგადოებრივი მხარე მუშის პიროვნების ასე თუ ისე აშკარავდება. ის მუშაობის და მოღვაწეობის პროცესში აჩენს თავის სახეს და ამ პროცესშივე იძენს ცოდნას და გამოცდილებას, ის თანდათან ხდება უფრო მეტი შეგნებული გამომჭედი და მესვეური მთელი ჩვენი საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი და სამეურნეო ცხოვრების.

ამით ჯანსაღდება ეს უკანასკნელი, ის ხდება ნამდვილი საშუალება და იარაღი მუშათა კლასის გამარჯვების, თვით მუშის მდგომარეობა უმჯობესდება და მისი კეთილდღეობა იზრდება.

მაგრამ მუშის ცხოვრება, თავის თავად ცხადია, არ ამოიწურება მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობით. ძალა-უფლების გადასვლა მუშის ხელში, მისი ნივთიერი კეთილდღეობის შექმნა და სხვა ასეთები არ არის საკმარისი მუშების პიროვნების ამაღლებისა და სრულყოფისათვის.

საჭიროა მისი გაკულტუროსნება, ამ სიტყვის ნამდვილი და ფართე მნიშვნელობით; პირველ ყოვლისა საჭიროა არსებითი ცვლილების და გარდატეხის მოხდენა მის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ადამიანი, როგორც კულტურული ტიპი, აშკარავდება უმთავრესად და უწინარეს ყოვლისა მის ყოფა-ცხოვრებაში. მუშის ყოფა-ცხოვრება უნდა შეესაბამებოდეს იმ უდიდეს და ულრმეს გარდატეხას, რომელიც მოახდინა რევოლიუციამ.

პროლეტარულმა რევოლიუციამ ძირ-ფესვიანად დაამსხვრია ძველი ნივთიერი ურთიერთობანი და მთელი ძალა-უფლება ჩაუგდო ხელთ მუშათა კლასს. ის განთავისუფლდა საუკუნოებრივი პოლიტიკური და ეკონომიური მონობიდან, გახდა ამ მხრივ თავისუფალი მოქალაქე და თავის ბატონ-პატრონი: დღეს ის ეწევა აღმშენებლობითი მუშაობას ცხოვრების გარდგასაქმნელად ახალ საფუძვლებზე. ამგვარად, მოხდა დიდი და არსებითი ცვლილებები ჩვენი მუშათა კლასის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საკითხავია, რა გავლენა მოახდინა ამან მუშის პიროვნებაზე, მის ყოფა-ცხოვრებაზე? განიცადა თუ არა ასე თუ ისე ღრმა გარდატეხა მუშის შინაურმა, ოჯახურმა ურთიერთობამ, მისმა პირადმა ყოფაქცევამ და მოქმედებამ ფაბრიკის თუ დაწესებულების გარეშე, ათასგვარმა ზნე-ჩვეულებამ, რომლებიც ავსებენ ადამიანის ცხოვრების შინაარსს.

იდეებს, წარმოდგენებს, ტრადიციებს უაღრესი კონსერვატიზმი ახასიათებს. ისინი უფრო ხანგრძლივად ცოცხლობენ ადამიანის შემეცნებაში, ვინემ ის ნივთიერი ურთიერთობანი, რომელთა ნიადაგზე წარმოიშვენ.

და უნდა ითქვას, რომ ჩვენი მუშათა კლასი უმეტესად ისევ იმყოფება დახავსებულ ზნე ჩვეულებათა და წარმოდგენების ტყვეობაში.

მის ყოფა ცხოვრებას, ოჯახურ დამოკიდებულებას, კერძო დროს გატარებას და სხვა ბევრ რამეს აზის წარსულის უტყუარი ბეჭედი.

და თუ აქ რაიმე ცვლილებებს აქვს ადგილი, ეს იმდენად ზერელეა, რომ ტეხს ვერ აძლევს მუშის ცხოვრებას, ვერ ქმნის მისი ცხოვრების ახალ „სტილს“. ამ სფეროში ახალი შეხედულებანი ძალიან ნელა იკაფავენ გზას მუშის შემეცნებაში. ამასთან ცხადია, რომ სრულებით არ არის საკმარისი რაიმე აზრის თეორიულად მიღება, საჭიროა ის შეიჭრას ადამიანის ბუნებაში, გაუჯდეს მას ძვალ-რბილში, დაეუფლოს მას, გახდეს მისი ყოფა-ქცევის შეუცნობელ წყაროდ.

ახალი ცხოვრება, რომელსაც ვქმნით, მოითხოვს ახალ ადამიანს, რომელიც მატარებელი უნდა იყოს ახალი სულიერი კულტურის, სიცოცხლის ახალი შეგრძნობის.

ამ მხრივ ბოლო ხანებში დიდი საქმე კეთდება რუსეთში. იმართება საგანგებო თათბირები და კრებები, გაზეთებში თავსდება სპეციალური წერილები მუშათა ყოფა-ცხოვრების შესასწავლად და მუშავდება ზომები მისი გარდასაქმნელად, მუშის პიროვნულ შემეცნებასა და ცხოვრებაში ერთგვარი რევოლიუციის მოსახდენად.

ჩვენში კი ასეთი მუშაობა თითქმის სულ არ სწარმოებს. მუშათა ყოფა-ცხოვრების საკითხები ჯერ კიდევ არ გამხდარა ჩვენში საჯარო სჯა-ბაასის და მასიურ ყურადღების საგნად; ადგილობრივ პრესაში ძალიან ცოტა იწერება მუშების ყოფა-ცხოვრებაზე.

როგორ ცხოვრობს მუშა სამუშაოს და სამსახურის გარედ, როგორ ატარებს ის დღის უმეტეს დროს თავის ოჯახში და სხვაგან, რამდენად ძლავრია მასში სარწმუნოებრივი, ძველი ოჯახური და სხვა ტრადიციები და მრავალი სხვა,—ყველაფერი ეს ღირსია ფხიზელი დაკვირვების და შესწავლის.

ჩვენ უნდა მივაქციოთ სერიოზული ყურადღება მუშის ცხოვრების ამ მხარეს, უნდა ვაწარმოოთ სისტემატიური მუშაობა მასში დახავსებული ზნე ჩვეულებების და შეხედულებათა აღმოსაფხვრელად.

მუშის პიროვნების კულტურული ამაღლება,—ეს ერთი მთავარი ამოცანათაგანია, რომელსაც გვიყენებს ჩვენი სინამდვილე, და მის გადასაჭრელად უნდა გაწეულ იქნას ფართე კამპანია და მუშაობა.

შენობათა შეკეთებისათვის

იმ დროს, როდესაც საბინაო კრიზისი საქართველოს დედაქალაქში ისედაც უაღრესად გამწვავებულია, მოსალოდნელია მისი კიდევ უფრო მეტად გამწვავება, თუ იმ მდგომარეობას არ მიეცა დასასრული, რომელსაც დღემდე და დღესაც აქვს ადგილი შენობების და ბინების დაცვის საქმეში.

ყოველდღე იბეჭდება გაზეთებში ცნობები ამა თუ იმ შენობათა განადგურების შესახებ, მკითხველი საზოგადოების წინაშე იშლება გულშემზარავი სურათი ამ სახალხო სიმდიდრის თანდათანობითი დაზიანება-განადგურებისა. გაზეთის თანამშრომელი მუშა კორესპონდენტები აღშფოთებით და მწუხარებით სისტემატიურათ აგვიწერენ შენობათა დანგრევისა და განადგურების ფაქტებს, მოითხოვენ ყურადღების მიქცევას ამ მდგომარეობისათვის, შენობათა დასაცავად და შესაკეთებლად გადამჭრელი ნაბიჯების გადადგმას. და განა უგაზეთოდაც ყოველი ჩვენგანი საკუთარი თვალებით არ ხედავს შენობათა დაზიანებას, თანდათანობითი განადგურებას, ხშირად ბოროტგანზრახვითაც კი. დაუფასებელი სახალხო ქონება ნადგურდება, ისედაც მცირე სავარგისი საცხოვრებელი სახლების რაოდენობა კიდევ უფრო მცირდება და ჩვენ კი გულხელდაკრეფილი შევჩერებივართ ამ მდგომარეობას და არავითარ ზომებს არ ვღებულობთ ასეთი პროცესის საწინააღმდეგოთ.

წინა წლებში შეუძლებელიც იყო ამ მიმართულებით რაიმე ზომების მიღება სასტიკი ეკონომიური კრიზისისა და საჭირო საამშენებლო მასალის უქონლობის გამო, მაგრამ მომავლისთვისაც ასეთი მდგომარეობის გაგრძელება პირდაპირ დაუშვებელია. მართალია ეკონომიური მდგომარეობა, როგორც თვით მცხოვრებლებისა, აგრეთვე სახელმწიფოსი, დღესაც ვერ არის მთლად გამოსწორებული და სასურველ დონემდე ასული, მაგრამ ეს საქმე დაყოვნებას მაინც არ ითმენს. ყოველი დაგვიანებული დღე აუარებელ ზიანს აყენებს ქვეყნის მომავალ ეკონომიურ მდგომარეობას, კიდევ უფრო მეტად ამწვავებს საბინაო საკითხს, რომლის სავსებით მოგვარებას დღემდე არაფერი ეშველა.

საბჭოთა ხელისუფლებას, როგორც სხვა დარგებში, ამ დარგშიც მეტად ცუდი მემკვიდრეობა დახვდა. საერთაშორისო ომის დასაწყისიდან ახალი შენობების აგება სრულებით არ სწარმოებდა, შეჩერებული იყო შენობების შეკეთებაც. ეს მდგომარეობა გაგრძელდა მენშევიკური მთავრობის ბატონობის დროსაც, როდესაც შენობათა დაცვის და მუშათა კლასის საბინაო მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის არავის ეცალა, მით არავინ იტკივებდა თავს. ამ მხრივ მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა და პირდაპირ კატასტროფიული ხდებოდა. ასეთ კატასტროფიულ მდგომარეობას მოუსწრო საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამ ჩვენში, როდესაც დაიწყო ქვეყნის დანგრეული მეურნეობის აღსადგენათ ენერგიული მუშაობა და თითქმის ყოველ დარგში მნიშვნელოვანი შედეგებია მიღწეული. საბჭოთა მთავრობამ მიიღო ზომები მუშა-მოსამსახურეთა და საზოგადოთ მცხოვრებთა ღარიბი ნაწილის საბინაო მდგომარეობის გასაუმჯობესებლადაც. მოხდა მცხოვრებთა გადაჯგუფება და მუშა მოსამსახურეთა ჩასახლება მდიდართა სახლებში. ბევრი მშრომელი, რომელიც მუშათა უბნების ბნელ სარდაფებში ატარებდა თავის სიცოცხლეს, მზის სხივებზე იქნა ამოყვანილი და სავარგის შენობებში დაბინავებული. მაგრამ საბინაო კრიზისი ისევ მწვავეთ სდგას, და დიდი ხნით შეჩერებული მშენებლობა სახლებისა მორიგ საკითხად არის დასმული. უამისოდ ყოვლად შეუძლებელია საკითხის საბოლოოდ და მრავალწლობით გადაჭრა.

ახალ შენობათა აგებას რასაკვირველია დიდი საშუალებები დასჭირდება, რომელთა გაღება დღესდღეობით შეუძლებელია. მაგრამ უკვე არსებულ შენობათა დაცვა და შეკეთება გაცილებით ნაკლებს მოითხოვს და საჭიროა ამ მიმართულებით დაუყოვნებლივ გადამჭრელი ნაბიჯების გადადგმა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მეპატრონეები სრულებით თავს არ იწუხებენ შენობათა დაცვით და შეკეთებით. როგორც აღნიშნული იყო „კომუნისტის“ ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში ამხ. კ. ჩხენკელის მიერ, მეპატრონეებს სახლები დაუბრუნდათ იმ პირობით, რომ მათ შენობები ყოველმხრივ შეაკეთონ და კარგათ შეინახონ. ამ პირობის შესრულებაზე მათ არც უფიქრიათ და არავითარი ზომები სახლების შესაკეთებლათ არ მიუღიათ. ამას ისინი ასაბუთებდნენ იმ მოსაზრებით, რომ სახლები შემოსავალს არ იძლევიან და შეკეთებისთვის საჭირო საშუალებები მათ არ მოეპოებათ. ქალაქის აღმასკომის მიერ ამ რამოდენიმე თვის წინად შემუშავებული საბინაო ტარიფი ამას ანგარიშს უწევდა და სწორედ ამ მოსაზრებით მოხდა საბინაო ქირის მომატება. მიუხედავათ ამისა არც არაფერი დღეს კეთდება შენობათა მოვლის საქმეში, პირობა აქაც სრულებით შეუსრულებელი რჩება. სახლების შეკეთებისთვის საუკეთესო დრო ზაფხულია და თუმცა ზაფხული უკვე გადის, და როგორც ამხ. კ. ჩხენკელი სწერდა იმ შენობათა შეკეთებაზეც, რომელთაც ეს აუცილებლათ ეჭირვებათ, არავინ თავს არ იწუხებს. ტფილისში ამ ჟამად ძალიან ცოტაა ისეთი სახლები, რომლებიც მათი დანგრევა-განადგურებისაგან დაცვის მიზნით დაუყოვნებლივ შეკეთებას არ საჭიროებდენ. შეუძლებელია ამ შენობების ამავე მდგომარეობაში დატოვება საზამთროდ, სახურავების შეღებვა და სახელდახელო რემონტი მაინც დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს, სანამ წვიმა, თოვლი მოგვისწრებდეს.

მოსკოვში უკვე 1922 წლიდან სწარმოებს ახალი შენობების აგება, უმთავრესად საბინაო ამხანაგობათა მიერ, როგორც ამას იტყობინება „კომუნისტის“ მოსკოველი კორესპონდენტი. პარალელურად და უფრო მეტი გაცხოველებით სწარმოებს როგორც კაპიტალური, ისე სახელდახელო რემონტიც. ამან თუ სავსებით არა, საგრძნობლად შეანელა იქ საბინაო კრიზისი. დროა ჩვენც შევუდგეთ ამ საქმეს, სანამ გვიან არ არის. კერძო მეპატრონეთა სახლების შეკეთება რასაკვირველია უნდა დაევალოს მათ მეპატრონეებს, დაწესებულებათა და მუშათა სახლების შეკეთება კი თავს უნდა იდვან თვით დაწესებულებებმა და პროფკავშირებმა.

ქალაქის აღმასკომმა, სანამ გვიან, არ არის, ყველას უნდა მოაგონოს თავისი მოვალეობა, გაუწიოს ხელმძღვანელობა და დახმარება ქალაქში შენობათა შეკეთებას. შენობათა დასაცავად და აღსადგენათ ის მკაცრ ზომებსაც არ უნდა მოერიდოს საჭიროების დროს.

ი. ბ

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტას“ ცნობები)

ს. ს. რ. კ. ცნობის გარშემო

ამერიკელი სენატორები რუსეთში.

ვარშავა. 30 ივლ. ვარშავაში ჩამოვიდენ ამერიკელი სენატორები, დემოკრატი ვინგი და ფერმერების უპარტიო ბლოკის მეთაური ლეედი, **რომელნიც მიემგზავრებიან მოსკოვში რუსეთთან ვაჭრობის შესაძლებლობის გამოსარკვევად. დღეს სენატორები ინახულებენ ს. ს. რ. კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს ამხ. ობოლენსკის.**

გერმანიის მილოცვა.

მოსკოვი 30 ივლისი. გერმანიის რწმუნებულმა ფონ-რადოვიცმა ინახულა ამხ. ჩიჩერინი და მიულოცა მას გერმანიის მთავრობის სახელით საბჭ. სოც. რესპ. კავშირის შექმნის გამო. რადოვიცმა განაცხადა, რომ გერმანიის მთავრობა გულწრფელად სცდილობს გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრულ ურთიერთობათა განმტკიცებას და გაფართოებას.

ს. ს. რ. კ. და იტალია.

ბერლინი. 29 ივლ. იტალიის პრესა ესალმება ამხ. იორდანსკის ს. ს. რ. კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად დანიშვნას იტალიაში და გამოსთქვამს იმედს, რომ მისი ჩამოსვლა გამოაცოცხლებს რუსეთ-იტალიის ურთიერთობას და დააჩქარებს რუსეთ იტალიის შორის სავაჭრო ხელშეკრულების დადებას.

გაზ. „პოპოლო დ'იტალია“ აღნიშნავს სამხრეთ-რუსეთის, როგორც ბაზრის უაღრეს მნიშვნელობას იტალიის საქონლის გასასაღებლად, და ხაზს უსვამს, რომ რუსეთის ახალი კონსტიტუცია მაჩვენებელია რუსეთის ნორმალურ ცხოვრების აღდგენისა.

შეთანხმება ფინეთთან.

ჰელსინგფორსი. 28 ივლისს ხელმოწერილ იქნა საბჭოთა კავშირის და ფინეთს შორის დადებული შეთანხმება ფინეთის ყურეში ნაოსნობის პირობების შესახებ. ფინეთის სახელით შეთანხმებას ხელი მოაწერა ადონენმა, საბჭოთა კავშირის სახელით კი—სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ამხ. ჩერნიხმა. შეთანხმება აწესრიგებს ფინეთის ყურეში მაიაკის საკითხს და აგრეთვე საკითხს ლოცმანთა სამსახურის შესახებ.

ს. ს. რ. კ. და შვეცია.

სტოკჰოლმი. 29 ივლისი. გაზ. „ტიდინდენ“ ფიქრობს, რომ რუსეთ-შვეციის ხელშეკრულების დადება ხელს შეუწყობს რუსეთში შვეციის წარმოების განვითარებას.

საბჭოთა კავშირი და დანია.

კოპენჰაგენი. 29 ივლისი. დანიის ინდუსტრიის საბჭოს წარმომადგენელი ლანგე, რომელიც რუსეთიდან დაბრუნდა აღნიშნავს, **რომ რუსეთის ეკონომიური ცხოვრება აღორძინების გზაზეა,** აღნიშნავს დანიის და რუსეთის შორის ვაჭრობის ფართო შესაძლებლობას და გამოსთქვამს რწმენას, რომ კოპენჰაგენში რუსეთის დელეგაციის მეთაური გეინის ჩასვლა ხელს შეუწყობს დანია-რუსეთის ურთიერთობასო.

პანები და ს. ს. რ. კავშირი.

ვარშავა 29 ივლისი. ოპოზიციონურმა პარტიებმა შეიტანეს სეიმის გარეშე საქმეთა კომისიაში შეკითხვა რუსეთთან დამოკიდებულების შესახებ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნის გამო ოპოზიცია ილაშქრებს საბჭოთა კავშირის ცნობის წინააღმდეგ, რადგან კავშირის შემადგენლობაში შედიან რიგის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული რესპუბლიკები.

სეიდამ უპასუხა, რომ საბჭოთა სოც. რესპუბლიკების კავშირის შექმნის საკითხი განხილული იყო მინისტრთა კაბინეტში. მემარცხენე პარტიების წინადადება რუსეთის საკითხის გარშემო გამართულ დისკუსიების სეიმში გატანის შესახებ, უარყოფილი იქნა.

გერმანიის ამბები

კუნოს გადადგომის წინ.

პარიზი. 31 ივლისი. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ კუნოსთან დაახლოვებულ წრეებში, დღევანდელი მომენტი ძალიან შეუფერებლად მიაჩნიათ სამინისტრო კრიზისისათვის. მაგრამ **კუნოს განზრახული აქვს გადადგომა, ემყარება რა თავის დაქანცულობაზე** შტრეზემანი დაბრუნდა ბერლინში თავის პარტიასთან მოსალაპარაკებლად. რეიხსტაგის წრეებში შტრეზემანს და რეიხსტაგის პრეზიდენტს ლებეს სთვლიან კუნოს მემკვიდრეთ. რეიხსტაგი მოწვეული იქნება 8 აგვისტოს.

კვირამ მშვიდობიანად ჩაიარა.

ბერლინი. 31 ივლისი. „ჰავასის“ სააგენტოს ცნობით, 24 ივლისის დღემ მთელს გერმანიაში მშვიდობიანად ჩაიარა. **ერთად-ერთი თვალსაჩინო ინციდენტი იყო სატუსაღოზე თავდასხმა ნეირუპენში, პოტსდამის მახლობლად, რომლის დროსაც ხალხიდან მოკლეს 2 და 7 დაიჭრა.**

კუნოს მთავრობა.

პარიზი. 31 ივლისი. გერმანიაში მოსალოდნელ არეულობათა შესახებ „ჟურნალ დე დება“ სწერს: „არსებობს თუ არა ბერლინში ნამდვილი მთავრობა? **კანცლერ კუნოს ამ ჟამად არავინ ყავს მხარის დამჭერი და უნარს ვერ იჩენს რაიმე კონკრეტულ ზომების მისაღებად, რომლითაც შეიძლებოდა ფინანსიური და ეკონომიური კრიზისის შემსუბუქება“.**

სოციალ-დემოკრატები ბურჟუაზიასთან თანამშრომლობისათვის ემზადებიან.

ბერლინი. 31 ივლისი. ამ ბოლო დროს ბერლინის გაზეთები დაჟინებით ლაპარაკობენ, რომ სასურველია მთავრობის კოალიციის გაძლიერება სოციალ დემოკრატების შესვლითაო, რომლებიც წინანდელი თავისი პოზიციის მიუხედავად, ამ ჟამად მზად არიან კომ ნტერნში ითანამშრომლონ მარკის კურსის დაცემისა და სურსათ-სანოვაგის გაძლიერებით შექმნილ გართულებულ მდგომარეობის გამო.

პანიკაა ბერლინში.

ბერლინი. 29 ივლისი. 28 ივლისს დანციგში დოლარი ფასობდა 950.000 მარკად.

მარკის კურსის დაცემა და სასურსათო მარაგის შემცირება დიდ პანიკას იწვევს. **პოლიცია მზადაა ბრძოლისათვის.** სასურსათო მაღაზიები ჰყიდიან პროდუქტებს განსაზღვრული რაოდენობით და სპეკულიაციას ეწევიან ფასების აწევით.

ბერლინის ვაჭართა კრება გამოტანილ რეზოლიუციაში მოითხოვს ვალიუტით ვაჭრობის აკრძალვის შესახებ დადგენილების გაუქმებას, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრება სავაჭრო საათების შემცირებით და მოსამსახურეთა დათხოვნით.

600-700 ათასი კაცი ბერლინში განიცდიან საშინელ სასურსათო გაჭირვებას.

მონარქისტები ემზადებიან.

ბერლინი. 29 ივლისი. ჰააგიდან იუწყებიან, რომ გერმანიის ყოფილი კრონპრინცი მოულოდნელად წავიდა დოორნში, სადაც სცხოვრობს ყოფილი კაიზერი.

რეიტერის სააგენტოს ცნობით ყოფილ კაიზერის მეორე შვილი ეიტელ ფრიდრიხი და მისი მომხრენი ამზადებენ მონარქისტულ გადატრიალებას აღმოსავლეთ პრუსიაში.

ანტიფაშისტური დღე.

ბერლინი. 30 ივლისი. ანტიფაშისტური დღე მშვიდობიანად ჩატარდა ბერლინში და დანარჩენ გერმანიაში. დემონსტრაციები არ გაიმართა.

მღელვარება სასურსათო კრიზისის ნიადაგზე.

ბერლინი. 30 ივლისი. ნეირუპინში ბერლინის მახლობლად დაიწყო მღელვარება სასურსათო კრიზისის ნიადაგზე, დარბეულია სასურსათო მაღაზიები. პოლიციასთან შეტაკების დროს მოკლულია ორი კაცი.

გერმანიის ფაშისტების „სამგმირო საქმენი“.

ბერლინი. გაზ. „ბერლინერ ტაგებლატ“-ის კორესპონდენტის ცნობით პასსაუში გაფიცული არიან ნავთსადგურის მუშები გაფიცვა გამოწვეულია მუშებზე ფაშისტების თავდასხმის გამო; თავდასხმის დროს ნავთსადგურის ერთი მუშა მძიმეთ იქნა დაჭრილი.

საკონტრიბუციო საკითხი

ბელგიის პროგრამა.

ბერლინი 31 ივლისი გაზ. „ტანი“-ს სიტყვით, ბელგია წინადადებას იძლევა, გერმანიის ფინანსების აღდგენის მიზნით, გაუქმებულ იქმნეს მოკავშირეთა ვალები; აგრეთვე სწორით იქმნეს განსაზღვრული მოკავშირეთა საკონტრიბუციო მოთხოვნილებათა მაქსიმუმი და დაცულ იქმნას დანგრეულ ოლქების აღსადგენად საჭირო ხარჯების მოთხოვნის უპირატესობა; გადასინჯულ იქმნას სპაში მიღებული შეთანხმება; შემუშავდეს გადასახადების გარანტია ისეთს ფარგლებში, რომ გავლენა არ იქონიოს გერმანიის ბიუჯეტზე; დადებულ იქმნას მოკავშირეთა შორის შეთანხმება, რომელიც უზრუნველჰყოფს საფრანგეთისა და ბელგიის უშიშროებას.

იტალიის ნოტა.

რომი. 31 ივლისი იტალიის მთავრობის საპასუხო ნოტა გადაეცემა კერზონს დღეს, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ხვალ. იტალიის თვალსაზრისი სრულიად განსაკუთრებულია და უფრო ინგლისისას მიემზგავსება. მუსოლინი მიესალმა ვერსალის ხელშეკრულების სასტიკად შესრულებას და უერთდება იმ აზრს, რომ საჭიროა საერთაშორისო ექსპერტიზა გერმანიის გადახდის უნარიანობის გამოსარკვევად. გერმანია არავითარ შემთხვევაში არ გადაუხვევს კანონიერ საქციელებს, მაგრამ სარეპარაციო თანხა უნდა იქნეს გამონაგარიშებული გერმანიის ფინანსიურ შესაძლებლობის მიხედვით. იტალია უარს ამბობს ავსტრიის კონტრიბუციაზე, რადგანაც ავსტრიამ უნდა აღადგინოს ომისაგან განადგურებული ოლქები, რომლებიც გადავიდა იტალიის ხელში და მანვე უნდა იკისროს სამხედრო პენსიების გადახდა, რაც მძიმე ტვირთად აწევს მის ბიუჯეტს. საკონტრიბუციო საკითხი მჭიდროთაა დაკავშირებული მოკავშირეთა ვალების საკითხთან. მუსოლინის აზრით, იტალიას შეეძლო დათმობაზე წასულიყო მის მიერ კუთვნილ ნაწილში, მაგრამ იმ პირობით, თუ ასეთსავე დათმობაზე წავიდოდნენ მოკავშირეები სამხედრო ვალების მოწესრიგების საკითხში.

საფრანგეთ-ბელგიის პასუხი.

რომი. 31 ივლისი. საფრანგეთ-ბელგიის ნოტა კერზონის უკანასკნელ ნოტის საპასუხოთ გადაეცა ბრიტანეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს ორშაბათს. ბრიუსელში მყოფი საფრანგეთის ელჩი დაეთანხმა ნოტაში ზოგიერთ შესწორებების შეტანაზე, რომელსაც საჭიროთ დაინახავს ბელგიის მთავრობა.

ოკუპაციის გარშემო

გადასახადები რურში.

ბერლინი. „ვოლფ-ბიურო“ იტყობინება, რომ ფრანგების მიერ დაჭერ. ოლქებში რკინის გზით სარგებლობა სასურსათო ტვირთების გადასაზიდავათ შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შეტანილი იქნება საფრანგეთ ბელგიის სალაროში არა მარტო გადაზიდვის ღირებულება, არამედ გადასაზიდავი პროდუქტების ღირებულების 10 პროც.-ი ფრანგების მიერ დაკავებულ მრავალ სადგურებზე ამ უკანასკნელი დროის განმავლობაში აუარებელი სასურსათო სანოვაგით დატვირთული ვაგონები სდგანან. სად. დიუნდენში ფრანგებმა კონფისკაცია უყვეს სასურსათო ტვირთებს, რომელნიც გერმანიისა და უცხოეთის საქველმოქმედო საზოგადოებების მიერ იყო გამოგზავნილი რურის მოსახლეობისათვის.

ახლო აღმოსავლეთში

ანგორა.

ქემალისტების გამარჯვება არჩევნებში.

ანგორა. 29 ივლისი. საარჩევნო კამპანია მთავრდება. დიარბექირში და ერზერუმში გაიმარჯვეს ქემალისტებმა.

სრუტეები.

პარიზი. 29 ივლისი. „ჩიკაგო ტრიბუნა“-ს კორესპონდენტის ცნობით, ოსმალეთმა სრუტეებით სარგებლობის საკითხში ყველაზე უფრო მეტი უფლებები ამერიკას მიანიჭა.

საზავო ხელშეკრულების დადების გარშემო.

ანგორა. 29 ივლისი. მთავრობის წევრებმა გაზეთ „ვაკიტ“-ის თანამშრომლებს განუცხადეს, რომ ზავი საშუალებას აძლევს ოსმალეთს იმუშაოს ეკონომიურ ასპარეზზე და ამით გაამართლოს რევოლიუციის ერთ-ერთი მიზანი; ის აგრეთვე პირველ რიგში აყენებს მმართველობისა და მეურნეობის რეორგანიზაციის საკითხს. საჭიროა გლეხებზე ზრუნვა და ქვეყნის საერთო კულტურის ამაღლება.

ალი-ფუადმა აღნიშნა, რომ გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ხელშეკრულება სერიოზულ გარანტიებს იძლეოდეს ოსმალეთის დამოუკიდებლობისათვის.

სინაის კონფერენცია

ბერლინი. 31 ივლისი. „პტი პარიზიენ“-ის ცნობით, ჩეხო-სლავაკიის, სამხრეთ-სლავიისა და რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციაზე სინაიში სრული შეთანხმება მოხდა ბალკანეთის პოლიტიკურ საკითხის გამო და აგრეთვე უნგრეთის სესხის შესახებაც, რომელიც არ უნდა გამოიყენონ არც არმიის გასაძლიერებლად და არც პროპაგანდის საწარმოებლად.

მცირე ანტანტის გაფართოვება მოსალოდნელი არ არის.

პარიზი. 31 ივლისი. „პტი პარიზიენ“-ის სინაიდან ატყობინებენ, რომ მცირე ანტანტის შემადგენლობის გაფართოვება მოსალოდნელი არ არისო.

სხვადასხვა ამბები

ბულგარეთი

ბურჟუაზიული ბლოკისა და „ხალხის ერთიანი პარტიის“ შეერთება.

ვენა. 29 ივლისი. სოფიიდან მიღებულ ცნობების თანახმად ბულგარეთში მოხდა ბურჟუაზიული ბლოკის და პრემიერ ცანკოვის ორგანიზაციის, რომელსაც „ხალხის ერთიანი პარტია“ ეწოდება,—შეერთება. ამ გაერთიანების გარეშე, რომელსაც „დემოკრატიული გაერთიანება“ ეწოდება, მთავრობის პარტიებიდან სდგანან მხოლოდ „ფართო“ სოციალ-დემოკრატები (ბულგარეთის მენშევიკები), რომელთა მდგომარეობა მთავრობაში დღითიდღე უარესდება იმის გამო, რომ მემარჯვენე ელემენტები სცდილობენ მათ განდევნას მთავრობიდან.

ცანკოვის მთავრობა და კომპარტია.

ვენა. 29 ივლისი. შინაგანი სისუსტე უეჭველად ხელს უშლის ბულგარეთის მთავრობას კანონის გარეშე გამოაცხადოს ბულგარეთის კომპარტია. მიუხედავათ იმისა, რომ მთავრობის აგენტები და პოლიცია ხელს უშლიან კომპარტიის ლეგალურ მოქმედებას, კრძალავენ მიტინგებსა და კრებებს, ატუსაღებენ პარტიის წევრებს, კონფისკაციას უშვება გაზეთებს და სხვა.

უკანასკნელი ხნის განმავლობაში დატუსაღებული იქნა პროფკავშირთა საბჭოს მდივანი დიმიტროვი და აგრეთვე კომპარტიის ცენტრალურ ორგანოს „რაბოტნიჩესკი ვესტნიკის“ რედაქტორი.

რეპრესიები რუსეთის რეპატრიანტების წინააღმდეგ.

ვენა. 29 ივლისი. ბულგარეთში ჩხრეკა სწარმოებს რუსეთის წითელი ჯვრის შენობებში და აგრეთვე რუსეთის რეპატრიანტებს ორგანიზაციებში; ამ უკანასკნელის ყველა წევრები დატუსაღებული არიან. სოფიაში სულ დატუსაღებულია 70 კაცი, სხვა ადგილებში—300 მეტი. რეპატრიანტების გაზეთი „ახალი რუსეთი“ აღარ გამოდის.

როგორ იბრძვიან მოწინააღმდეგეებს.

ვენა. 29 ივლისი. ბულგარეთში გრძელდება პოლიტიკური მკვლელობანი. გლეხური პარტიის მეთაური, სოფიის ყოფილი ბურგომისტრი, პოპოვი და აგრეთვე სტამბულინსკის პირადი მდივანი კალჩევი, რომლის გაქცევის შესახებაც ამას წინად იტყობინებოდა ბულგარეთის მთავრობა, მოკლული არიან ცანკოვის მთავრობის აგენტების მიერ.

ბელგია.

ხელშეუხლებლობა მხოლოდ მთავრობის ლაქიებისთვის არსებობს.

პარიზი. 29. ივლისი. ბელგიის სენატის კომისიას განზრახული აქვს დეპუტატის ხელშეუხებლობის წართმევა დეპუტატ რენიესათვის, რომელსაც ბრალათ ედება ტრანსპორტის მუშების გაფიცვაში მონაწილეობის მიღება.

ლატვია.

პოლიტიკური პატიმრები.

რევალი. 29 ივლისი. საგამომძიებლო ციხეში, პოლიტიკურმა პატიმრებმა შიმშილობა გამოაცხადეს. პატიმრები მოითხოვენ ცემის მოსპობას. ციხის ჯალათების პასუხისგებაში მიცემას და პოლიტიკურების სისხლის სამართლის დამნაშავეთაგან განცალკევებას.

მუშათა პარტიის ფრაქციამ ორჯერ შეიტანა პარლამენტში წინადადება შეტანილი ჰყოფილიყო დღის წესრიგში შეკითხვა მთავრობისადმი პოლიტიკურ პატიმართა ცემის შესახებ, მაგრამ მემარჯვენე ფრთამ წინადადება უარყო.

იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გელლატმა ცხენოსანი პოლიცია გამოიწვია მუშათა დელეგაციის დასატუსაღებლათ, რომელიც გამოცხადდა მინისტრის მოადგილესთან პატიმართა მოთხოვნილებისათვის მხარის დასაჭერათ.

ინგლისი

ომის წლის თავზე.

ლონდონი. 29 ივლისი. გუშინ, **მსოფლიო ომის წლის თავზე,** მთელს **ინგლისში მოხდა დემონსტრაციები ლოზუნგით „ძირს ომი“. ყველაზე მრავალრიცხოვანი მიტინგი, შესდგა ლონდონში.** მიტინგზე გამოვიდნენ თემთა პალატის მუშათა ფრაქციის წევრები და ტრედ-უნიონების ბელადები. ისინი აღნიშნავდნენ, რომ 1914 წლის 29 ივლისი წარმოადგენს დიდ უბედურების დაწყების დღეს.

დამოუკიდებელმა მუშათა პარტიამ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიც აღნიშნავს, რომ ამ ჟამად იგივე ძალები მოქმედებენ, რომლებმაც მოაწყვეს მსოფლიო ომი. მოწოდებაში ნათქვამია, რომ პარტია უკვე აღნიშნავს ევროპაში ახალი კონფლიქტის ნიშნებს, ამაში პასუხისმგებელნი არიან ის სახელმწიფოები, რომელთაც მოაწერეს ხელი ვერსალის ზავს. „ჩვენ მოვითხოვთ,— **ნათქვამია მოწოდებაში,— გერმანიიდან ინგლისის ჯარის გამოყვანას, ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვას, საბჭოთა მთავრობის ცნობას და საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას, რომელზედაც ინგლისმა უნდა შეიტანოს წინადადება** ყველა სახელმწიფოების საყოველთაო განიარაღების შესახებ“.

მუშათა პარტიის გამორიცხული წევრები.

ლონდონი. 29 ივლისი. თემთა პალატიდან გამორიცხულ მუშათა პარტიის წევრებმა პალატის თავმჯდომარეს გაუგზავნეს განცხადება თემთა პალატაში ივლისის 30-ს მათი დაბრუნების განზრახვის შესახებ და მოითხოვენ უფლებას თავის ადგილების დაკავებისა.

ბალდვინის სიტყვა ედინბურგში.

ლონდონი. 29 ივლისი. 28 ივლისს ედინბურგში წარმოთქმულ სიტყვაში ბალდვინმა გამოსთქვა რწმენა, რომ ინგლისი შექმნის მთლიან ფრონტს სოციალიზმის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც შეუძლია წაიყვანოს ხალხი დასუსტებისა და დანაწილებისაკენ. „სოციალიზმმაო“, სთქვა ბალდვინმა, ერთგვარი პოპულიარობა მოიხვეჭა ომის დროს.

ოსმალეთი.

მუსტაფა-ქემალი.

ანგორა. 30 ივლისი. მუსტაფა-ქემალი სმირნაში კიდევ ერთს კვირას დარჩება და ისმეტ-ფაშასთან ერთად დაბრუნდება ანგორაში.

ოსმალეთთან შეერთებას მოითხოვენ.

ანგორა. 30 ივლისი. „ენი-გიუნ“-მა დაბეჭდა დეპეშა კილისის 15 მცხოვრებთა მიერ ხელმოწერილი, რომელიც სირიის საზღვრების გარედ დარჩა. დეპეშაში ნათქვამია: კილისის მკვიდრნი ცრემლით სავსე თვალებით მიესალმებიან ზავს. თუ უარი გვითხრეს ოსმალეთისათვის კილისის შეერთებაზე, ვიხსნით პასუხისმგებლობას საფრანგეთთან მეგობრული ურთიერთობის დაცვაში.

ქალები არჩევნებში.

ანგორა. 30 ივლისი. ქალთა პალატაში არჩევნების დროს ბევრი ხმა მისცეს კანდიდატ ქალებს.

მსოფლიო პატრიარქის მილოცვა.

პარიზი. 30 ივლისი. მსოფლიო პატრიარქმა მუსტაფა-ქემალს მისალოცი დეპეშით მიმართა ზავის შეკვრის გამო და მიესალმა სტამბოლის ბერძნების სახელით.

ოსმალეთ ამერიკის მოლაპარაკება.

პარიზი. 30 ივლისი. ლოზანაში დაწყებული მოლაპარაკება ოსმალეთსა და შეერთებულ შტატებს შორის სტამბოლში გაგრძელდება. ამერიკელებს უნდათ ზოგიერთი ფინანსიური და იურიდიული უპირატესობის მიღება თავის ჰოსპიტლებისა და სკოლებისათვის საჭირო მასალის უბაჟოთ შემოტანისათვის.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

გაფიცვების დამთავრება პოლონეთში.

ვარშავა 30 ივლისი. გაფიცვები დასრულდა კომპრომისით. მუშებმა მიიღეს 40 პროც. მომატება.

ნავთსადგურის მუშების გაფიცვა.

ლონდონი. 29 ივლისი. მწარმოებელთა გაფრთხილების გამო, გაფიცულთა მუშების სხვა მუშებით შეცვლის შესახებ, ნავთსადგურის 500 მუშა დაუბრუნდა თავის სამუშაოს. საგაფიცვო კომიტეტმა შემდეგი ტაქტიკის საკითხი გადასცა გადასაწყვეტად რაიონებს.

სოფლის მეურნეობის მუშების გაფიცვა აღმოსავლეთ პრუსიაში.

ბერლინი. „ბერლინერ ტაგებლატ“-ი იტყობინება, რომ აღმოსავლეთ პრუსიაში ხრისტბურგის, მარიენვერდერის და შტუმის რაიონში იფეთქა სოფლის მეურნეობის მუშების გაფიცვამ. მუშებმა მოაწყვეს ჯგუფები 15-დან 50 კაცამდე თვითეულში და წითელი დროშებით გადიან ერთი რაიონიდან მეორეში და სამუშაოდან ხსნიან სოფლის მეურნეობის მუშაკებს. მოძრაობის ცენტრათ არის ხრისტბურგი. ადგილობრივმა ადმინისტრაციამ „ადგილობრივ სადარაჯო რაზმის გასაძლიერებლათ და უწესოების ჩასაქრობათ“ გაგზავნა ცხენოსან პოლიციის რაზმი.

პროფინტერნში

აღმასრულებელ ბიუროს სხდომა.

აღმასრულებელ ბიუროს სამ უკანასკნელ სხდომებზე, განხილული იყო საკითხები ჰოლანდიაში მდგომარეობის, პროფინტერნის ბერლინის ბიუროს მუშაობის, იტალიაში საქმის მდგომარეობის, ინგლისის ტრედ-უნიონების კონგრესის და ჰუნგრეთში არსებულ მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელმა ჰოლანდიაში საქმის ვითარების შესახებ განაცხადა, რომ 1,300,000 ჰოლანდიელ მუშა მოსამსახურედან დარაზმულია მხოლოდ 500.000 კაცი. რეფორმისტულ პროფკავშირებს ჰყავთ დაახლოვებით 200,000 წევრი, კათოლიკურ პროფკავშირებს—130,000 და პროტესტანტებს—50,000. მუშათა ნაციონალურ სეკრეტარიატში, უძველეს რევოლიუციონურ პროფესიონალურ გაერთიანებაში, ითვლება 23,000 წევრი, რომელთა უმრავლესობა პროფინტერნის მომხრეა. ა. | წ. მაისში მუშათა ნაციონალურ სეკრეტარიატში მოხდა რეფერენდუმი ორიენტაციის საკითხის შესახებ. მას შემდეგ რაც რეფერენდუმმა მისცა პროფინტერნს ხმების დიდი უმრავლესობა და აგრეთვე მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა პროფინტერნის აღმასრულებელ ბიუროს გადაწყვეტილება, თავი შეიკავონ პროფინტერნთან შეერთებაზე, მუშათა ნაციონალურ სეკრეტარიატის სინდიკალისტურმა უმცირესობამ ლანსინგის მეთაურობით, . მოახდინა განხეთქილება ორგანიზაციაში და მოაწყო თავისი საკუთარი გაერთიანება, რომელიც შეუერთდა ბერლინის სინდიკალისტურ ინტერნაციონალს.

აღმასრულებელი ბიურო ამ საკითხის გამო მიღებულ რეზოლიუციაში წინადადებას აძლევს ჰოლანდიის მუშათა ნაციონალურ სეკრეტარიატს ყოველი ძალღონე იხმაროს გაერთიანების განსახორციელებლად „იბრძვის რა ერთობის და ერთიანი ფრონტის სასარგებლოთ,—ნათქვამია რეზოლიუციაში,—მუშათა ნაციონალურმა სეკრეტარიატმა უნდა დაამტკიცოს, რომ ის საქმით იბრძვის ერთიანი ფრონტის იდეისათვის, როდესაც მოითხოვენ მუშათა კლასის ინტერესები და მიიმხროს ლანსინგის და მის ბიუროკრატიულ ხროვის მიმდევარი მუშები“.

შემდეგ მოსმენილ იქნა პროფინტერნის ბრიტანეთის ბიუროს ხელმძღვანელთა მოხსენება ამ ბიუროს მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროფინტერნის ორგანიზაციამ ინგლისში მოახერხა მასაზე იდეიური ზეგავლენის მოპოვება, თუმცა ორგანიზაციულად ეს გავლენა ჯერ კიდევ არ გამტკიცებულა. ბიურომ გაფართოვა მუშაობა მუშათა კავშირებში დაბრუნებისათვის და შემდეგი ლოზუნგი: „უკან პროფკავშირებში“ გამოიყენა ტრედ-უნიონების გენერალურმა საბჭომ. ბიუროს სააგიტაციო მუშაობა განსაკუთრებით გაძლიერდა პროფინტერნის II კონგრესის შემდეგ, როდესაც ლონდონში და ადგილებზე მოწვეული იყო რევოლიუციონური ოპოზიციის მთელი რიგი კონფერენციებისა. ბიურომ შეასრულა დიდი სამუშაო მეზღვაურთა შეკავშირების დარგში.

ამ საკითხის გამო მიღებულ რეზოლიუციაში, აღმასრულებელმა ბიურომ აღნიშნა, რომ პროფინტერნის ბრიტანეთის ბიუროს განზრახული აქვს ინგლისის პროფმოძრაობის შიგნივ ოპოზიციის ჩამოყალიბება, მუშაობს რა იგი ინგლისის კომუნისტურ პარტიასთან სრულ კონტაქტში ამ მიზნით მახლობელ თვეებში მთელი მუშაობის სიმძიმის ცენტრი საოპოზიციო ჯგუფების საერთო-ნაციონალურ კონფერენციის მოწვევაზე და ამ კონფერენციაზე უნდა იქნას დაარსებული პროფკავშირთა ოპოზიციის ლიგა, რომელიც მიზნათ დასახავს პროფინტერნის მხარეზე გადაიყვანოს ინგლისის მთელი პროფესიონალური მოძრაობა

უკანასკნელათ მოსმენილ იქნა ამხ. ტრესოს განცხადება იტალიის პროფკავშირებში საქმის ვითარების შესახებ. მას შემდეგ, რაც შრომის კონფედერაციის ხელმძღვანელებმა გაუშვეს შრომის ის კამერებიც, სადაც რევოლიუციონური ელემენტები სჭარბობდენ, კომუნისტებმა და რევოლიუციონურმა ელემენტებმა დაარსეს გამორიცხულთა კავშირი, რომელიც აერთიანებდა ყველა ამ ელემენტებს. ამ კავშირში კომუნისტებთან ერთად შევიდენ რევოლიუციონური სინდიკალისტები და სოციალისტურ პარტიის (მაქსიმალისტების) წევრები. მაგრამ ამ ჟამად სოციალისტურ პარტიაში ტაქტიკის შეცვლის გამო, მაქსიმალისტები საბოტაჟს უცხადებენ გამორიცხულთა კავშირს: აღმასრულებელმა ბიურომ დაადგინა მიანდოს ამხ. ტრესოს, შეიმუშაოს წერილის პროექტი იტალიის ამხანაგებისადმი იმ ტაქტიკის აღნიშვნით, რომელიც უნდა დაიცვან იტალიის პროფკავშირებში კომუნისტებმა და პროფინტერნის მომხრეებმა.

შემდეგ სხდომაზე ბიურო იხილავდა საკითხს იმ ტაქტიკის შესახებ, რომელსაც უნდა მისდიონ პროფინტერნის მომხრეებმა ინგლისში ა. | წ. სექტემბერში ტრედ-უნიონერების განზრახულ კონგრესის გამო. ამ კონგრესის დღის წესრიგის ცენტრალური პუნქტი იქნება უეჭველია, ტრედ-უნიონების გენერალურ საბჭოს ანგარიში. ანგარიშის განხილვის დროს პროფინტერნის მომხრეებმა მხარი უნდა დაუჭირონ ინგლისის პროფმოძრაობის ცენტრალიზაციას, რადგან გამოცდილებამ ცხად-ჰყო მთელი ის ზიანი, რომელიც მოუტანა ინგლისის მუშათა კლასს ადგილობრივ ორგანიზაციების ავტონომიურმა მუშაობამ. პროფინტერნის მომხრეთა მეორე ამოცანას შეადგენს ბრძოლა უმუშევართა გაერთიანების შეყვანისათვის ტრედ-უნიონების გენერალურ საბჭოს შემადგენლობაში, რადგან უმუშევრობამ ინგლისში მიიღო მუდმივი მოვლენის ხასიათი და უმუშევართა ორგანიზაცია არის ფრიად მნიშვნელოვანი მუშათა ორგანიზაცია.

პროფინტერნის მომხრეთა ტაქტიკა საჭიროა ერთხელ კიდევ დეტალურად იქნას განხილული კონგრესის დაწყების წინ. კონგრესზე რევოლიუციონურ ოპოზიციის საერთო დირექტივების შესამუშავებლად აღმასრულებელმა ბიურომ აირჩია განსაკუთრებული კომისია.

შემდეგ აღმასრულებელმა ბიურომ მოისმინა მოსამსახურეთა პროპაგანდის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლის მოხსენება, ნოემბერში, პრაგაში მოსამსახურეთა იმ კავშირების საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ, რომელნიც დგანან პროფინტერნის პლატფორმაზე და თანაუგრძნობენ მას. იმ კომისიის აზრით, რომელიც იხილავდა საკითხის ამ კონფერენციის მოწვევის შესახებ, საჭიროა მის მუშაობაში მონაწილეობა მიაღებინონ ევროპის ყველა ქვეყნების და აგრეთვე ჩრდილოეთ ამერიკის და ავსტრალიის წარმომადგენლებს.

აღმასრულებელი ბიურო სავსებით არ დაეთანხმა ამ აზრს და დაადგინა დაავალოს პროფინტერნის საორგანიზაციო განყოფილებას მოსამსახურეთა პროპაგანდის საერთაშორისო კომიტეტთან ერთად გადასინჯოს კომისიის მიერ წარმოდგენილი ქვეყნების სია, იმ მიზნით, რათა კონფერენციაზე მოწვეულ იქნან მხოლოდ იმ ქვეყნების წარმომადგენლები, სადაც პროფინტერნის პლატფორმაზე დგანან მოსამსახურეთა დამოუკიდებელი ორგანიზაციები, ან მოსამსახურეთა რეფორმისტულ კავშირების შიგნივ არსებული ოპოზიცია. დადგენილია კონფერენცია მოწვეულ იქნას დეკემბერში.

სხდომის დასასრულს მოსმენილ იქნა განცხადება უნგრეთში არსებულ მდგომარეობის შესახებ უნგრეთის ეკონომიური მდგომარეობა ამჟამად მეტად გამწვავებულია; იგი შეიძლება შევადაროთ იმ მდგომარეობას, რომელშიაც ავსტრია იმყოფებოდა ერთა ლიგისაგან კრედიტების მიღებამდე. უნგრეთისათვის კრედიტების მიცემის პირობად ერთა ლიგამ წაუყენა უნგრეთის პოლიტიკურ წესწყობილების დემოკრატიზაცია. ასეთი მოთხოვნილება აიხსნება იმით, რომ ერთა ლიგა ცდილობს მოსპოს უნგრეთის ფაშისტების ნაციონალისტური ტენდენციები, რომელნიც ცდილობენ ძველი ჰუნგრეთის აღდგენას, ე. ი. უნგრეთთან იმ ოლქების შეერთებას, რომელიც დღეს შედიან მცირე ანტანტის ქვეყნების შემადგენლობაში.

ამ ეკონომიურმა კრიზისმა დაშალა ძველი მთლიანობა უნგრეთის მმართველ პარტიაში და წამოაყენა საკითხი მსხვილ მემამულეთა და გლეხების ეკონომიურ ინტერესების წინააღმდეგობის შესახებ. ეს მრავალფეროვანი ელემენტები გაერთიანებულნი არიან საერთო სიძულვილით პროლეტარიატისადმი, რომლის ეკონომიური მდგომარეობა დღითი-დღე უარესდება. ამ ჟამად ჰუნგრეთის საშვალო მუშის ოჯახის ბიუჯეტის დეფიციტი 70 პროცენტს აღემატება.

მოხსენება მიღებულ იქნა აღმას. ბიუროს მიერ ცნობად.

,,ს. მ მ.“

მენშევიკური პარტია აღსასრულის წინ

რას ამბობს ყოფილ მენშევიკების კონფერენციის მასსა

საინტერესო და საგულისხმოა ბევრისათვის, რას ამბობს მასსა, უბრალო ობივატელი ყოფილ მენშევიკების კონფერენციის და დეკლარაციის გამო.

მე ბევრთან მომიხდა ლაპარაკი ამის შესახებ, მთელი საათობით ვსაუბრობდი და ვარკვევდი მათ შეხედულებას.

— დიდი ხნით ადრე უნდა მომხდარიყოო—ამბობს უბრალო ობივატელი,—რისთვის იღვრებოდა სისხლიო?

— რა უშლიდა ხელს საქართველოს მთავრობას მიეღო რუსეთის პროლეტარიატის ორიენტაცია, თუნდაც იმ მომენტში, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება მოგვიახლოვდა ჩვენ.

— რატომ არ შეურიგდა ჟორდანია ლენინს, როდესაც უკანასკნელი ითხოვდა ზავს? განა დასავლეთი უკეთესი მოკავშირეა?

— თუ მენშევიკური პარტია გამოიცვლის ტაქტიკას და დადგება საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე, ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგება, არ იქნება ბრძოლა, ქვეყნის აღმშენებლობითი მუშაობა რიგიანად წავა, მოისპობა დაჭიმული მდგომარეობა, რომ ქვეყანა არ იქნება შინაურ ფრონტის გახსნის მოლოდინში და სხვა და სხვა.

— ჩვენ ვესალმებით თქვენს გაერთიანებას, მხოლოდ მიიმხრეთ ის ჯიუტებიც, რომელნიც დღემდის დარწმუნებული არიან, რომ შუბლით გაანგრევენ კედელს. ჩვენ გვინდა ცხოვრების მშვიდობიანი მიმდინარეობა.

ასე მსჯელობს უბრალო ობივატელი.

— რა. უნდა მოვუხერხოთ მათ, როგორ უნდა დავარწმუნოთ ისინი, რომ მიზანშეუწონელი და საზიანოა მათი ბრძოლა?—მსმენია ხშირად იზოლიაციაში მყოფ პოლიტიკურების ნათესავებისაგან.

— ამ ბრძოლაში არ არის არავითარი შორსმჭვრეტელობა. ადამიანების ერთ ჯგუფს, რომელიც არ შეურიგდა საბჭოთა ხელისუფლებას, დაღუპვა მოელის, მისი მდგომარეობა გამოუვალია და მთელი მისი მოქმედება განისაზღვრება მათი პირადი თავმოყვარეობით და გაუმართლებელ ჯიუტობით.

აი მასსის ნამდვილი ხმა. და მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს პირები არ თვალთმაქცობენ და სავსებით გულწრფელად აღნიშნავენ სრულ სიმართლეს.

კონფერენციის დადგენილებას დიდი ენტუზიაზმით შეხვდენ არა მარტო მშრომელთა წრეში, არამედ უბრალო, პოლიტიკურ მასსაშიც.

რას ნიშნავს ეს?

მასსა, რომელიც წინად ფიქრობდა, რომ ჩვენში ბოლშევიკების სახით მოდიან მხეცები, ყაჩაღები, მძარცველები, დარწმუნდა სულ საწინააღმდეგოში. თურმე ამ ხალხს ეხერხებათ არა მარტო ძველის დანგრევა, რომელიც მიუღებელია ახალი წესწყობილებისათვის, არამედ აღმშენებლობაც.

და ეს მასსა სიამოვნებით ადევნებდა თვალყურს იმ ბრძოლას, რომელსაც აწარმოებდა მენშევიზმი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

იგი დაიბნა ამ ბრძოლაში და ვერ ჰპოულობდა გამოსავალს.

— რადგან მენშევიკები იბრძვიან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ცხადია არსებობს ბრძოლის საგანი, მაგრამ რისთვის იბრძვიან, როგორია დასასრული, რა მიზანი აქვს ამ ბრძოლ ს, ამ საკითხებს აპოლიტიკური მასა ვერ არკვევდა.

მაგრამ ყოფილ მენშევიკების კონფერენციის შემდეგ ბევრს აეხილათ თვალები, დარწმუნდენ ამ ბრძოლის უნაყოფობაში და აღტაცებით ეგებებიან თვითეულ ცნობას საბჭოთა ხელისუფლებასთან შერიგების შესახებ.

ეხლა მე ვიძლევი შეკითხვას:

— რაზე ეყრდნობა ის ჯგუფი, რომელიც ჯერ კიდევ იბრძვის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

დაახლოვებით 15 ათასი მუშა და გლეხი, ყოფილი მენშევიკები უკვე გადავიდენ საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე.

ყოველდღე ახალ-ახალი კადრები უერთდებიან კონფერენციის დეკლარაციებს.

ვინღა დარჩა მენშევიკურ პარტიაში?...

დავუშვათ ერთი წუთით, რომ ყველა ისინი გადავიდენ საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე ძალდატანებით, როგორც ამას მენშევიკების ცეკა ამტკიცებს.

მაგრამ მაინც ეს პარტიული მასსა საბოლოოდ დაჰკარგეს მენშევიკებმა?...

პოლიტიკური მასა კი, რომელიც წინად გაურბოდა მენშევიკურ პარტიას, ეხლა მით უმეტეს მის მხარეზე არ იქნება. ეს დიდი რისკია (ხოლო ასეთი მასსა პოლიტიკურ რისკზე არასოდეს არ წავა) და უაზრობაც არის

მაშ ვინღა რჩება?

რჩებიან ძველი დაღუპვის გზაზე დამდგარ საზოგადოების რეაქციონული ელემენტები, რომელნიც სიამოვნებით მოიყრიან თავს მენშევიკების ჯგუფის გარშემო.

მაგრამ ასეთ ხალხთან დაძმობილება არის პოლიტიკური თვითმკვლელობა ისეთი პარტიის, რომელიც თავის თავს მუშათა პარტიას უწოდებს.

ტფილისში მენშევიზმმა დაჰკარგა ისეთი საყრდნობი, როგორიც არის რკინის გზა, ტრამვაი, არსენალი, სტამბა, ფაბრიკა.

დაკარგულია სიმაგრეები საქართველოს სხვა ადგილებშიაც: ქუთაისში ფოთში, გორში ხაშურში სამტრედიაში, ოზურგეთში და სხვაგან.

და ასეთ პირობებში ყოველი შორს მჭვრეტელი პარტიული, იმ საქმის საკეთილდღეოთ, რომელსაც ის ემსახურება, საჭიროთ ჩასთვლის გადასინჯოს თავისი პოზიციები. ნებსით თუ უნებლიეთ ეს ასე უნდა მოხდეს.

როდესაც ყველა ციხე-სიმაგრეები და პოზიციები დაკარგულია, რჩება ერთად-ერთი გზა უკან დახევის და ზავისაკენ.

ისტორიამაც ასე ინება, რათა რევოლიუციონურ ბრძოლაში მენშევიზმს დაეთმო თავისი პოზიციები.

რა დარჩენია მას:

— სრული კაპიტულიაცია რევოლიუციონურ პროლეტარიატის ნებისყოფის წინაშე

ან:

— კავშირი რეაქციონელ ძალებთან.

და ამ ჯგუფს შორის გაძლიერებული ტემპით სწარმოებს დიფერენციაცია არა მარტო ჩვენში, არამედ მსოფლიო მასშტაბით.

და ისინი, რომელნიც არ დანებდებიან პროლეტარიატის ნებისყოფას უაზრო ჯიუტობისა და თავმოყვარეობის გამო, ხელში ჩაუვარდებათ რევოლიუციონურ მიმდინარეობას და საბოლოვოთ დაიკარგებიან პროლეტარიატისათვის.

ამაზე საჭიროა იფიქრონ იმ მცირერიცხოვანმა ჯგუფებმა, რომელნიც ჯერ კიდევ განაგრძობენ ჯიუტურ ლაპარაკს:

— დავიხოცებით, მაგრამ არ დავნებდებითო!..

მაგრამ რისთვის უნდა დაიხოცნონ, რა მიზანი აქვს მათ ბრძოლას?!.

— ბრძოლა მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წინააღმდეგ?!.

მაგრამ განა შეუძლია სოციალისტს ასეთი მსჯელობა?.

შეუძლია, მაგრამ მაშინ, როდესაც თავის სოციალისტურ საკმაოთ ზერელს რწმენას ის საბოლოოთ არქივს ჩააბარებს.

ა. რ—ძე.

შთაბეჭდილებები გურიის კონფერენციიდან

ყოველთვის, როცა საქართველოს დაბა-ქალაქებში დიდი ენტუზიაზმით და აღტაცებით ტარდებოდა მენშევიკურ პარტიის ყოფილ წევრთა კონფერენციები, რომელნიც გაბედულად უარყოფდნენ ძველ გზას და ახლისაკენ მიისწრაფოდენ,—იბადებოდა კითხვა: რა აზრის არის ამ მოვლენის შესახებ გურიის მშრომელი გლეხობა და როგორ შეხვდება ის მას. ჩვენ ვიცოდით, რომ, თუ მენშევიკურ პარტიამ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში დასაყრდნობი ძალა ჰპოვა—ეს იყო პირველ ყოვლისა გურია. იქ, სადაც პირველად ირწეოდა ამ პარტიის აკვანი და საიდანაც გამოვიდნენ მისი თვალსაჩინო ბელადები. რა თქმა უნდა, მენშევიკური პარტიის გააფთრებულ ბრძოლას მუშათა მთავრობის წინააღმდეგ ასეთივე პასუხი ეგებებოდა წინ არსებულ ხელისუფლების ხრივ არც ისე შორსაა ეს დაუნდობელ ბრძოლის წარსული, ჯერ კიდევ არ გამქრალა ის გურიის გლეხობის მეხსიერებიდან, ჯერ კიდევ არ დაწყნარებულა ბრძოლის ცეცხლით ატოკებული გული, ჯერ კიდევ სავსებით არ განკურნებულა მისგან გამოწვეული იარები.

და, რასაკვირველია, ამის შემდეგ უსაფუძვლო არ იყო იმის ფიქრი, რომ გურიის მენშევიკურ პარტიის ყოფილ წევრთა სამაზრო კონფერენციაზე გრძნობა შეგნებას დაჩრდილავდა და ამისი გზა არ იქნებოდა ისეთი, რომელზედაც დაადგენ სხვა კონფერენციები და რომელიც შეეფერებოდა გურიის რევოლიუციონურ წარსულს.

მაგრამ ვინც დაესწრო ამ კონფერენციას, ვინც თავის თვალით დაინახა მისი შემადგენლობა და სულისკვეთება, ვინც საკუთარი ყურით მოისმინა რა ითქვა იქ და რა გზას დაადგა კრება, მისთვის აშკარაა, რომ გურიის მშრომელი გლეხობა არც აქ ასცდა იმ საღ რევოლიუციონურ შეგნებას, რომელიც მას თავიდანვე ახასიათებდა. ამის შემდეგ გურიის უკანასკნელი ამბები მომაკვდავ მენშევიზმის უკანასკნელი გაზმორება ყოფილა. მან სწორედ იქ იჩინა თავი, სადაც ამ მომაკვდავის შედარებით უფრო ჯანსაღი და ჯერ კიდევ გაუცივებელი ნაწილი იყო. ოქტომბრის რევოლიუციის ქარიშხალს სწორედ იქ გაუძლო ერთხანს მენშევიზმმა, სადაც მას მეტი ნიადაგი მოეპოვებოდა.

დღეს—კი, დღეს ცხადია, რომ საქართველოს მენშევიკურ პარტიას ერთი ციტადელის, თბილისის მუშების შემდეგ, ხელიდან გამოეცალა მეორეც, გურიის მშრომელი გლეხობაც.

ვინ იტყვის იმას, რომ გურიის სამაზრო კონფერენცია არ იყო უფლება მოსილი გადაედგა ის ნაბიჯი. რომელიც მან გადადგა? ვის შესწევს იმდენი უტიფრობა განაცხადოს, რომ დამსწრეთა რიცხვი მენშევიკურ პარტიის გამვლელ ელემენტებს შეადგენდა? ვის შესწევს გამბედაობა სთქვას, რომ მისი მოქმედება გამოწვეულია რეპრესიებით?

თითქმის არც ერთი თემი არ დარჩენილა კონფერენციაზე წარმოუდგენელი. დელეგატთა რიცხვი 173 კაცს უდრიდა, რაც იშვიათი მოვლენა იყო მენშევიკურ პარტიის ლეგალურ მოღვაწეობის დროსაც კი. მათ რიცხვში მოიპოვებოდნენ ძველის-ძველი მომუშავე ამხანაგები, რომელთა რევოლიუციონური მოღვაწეობა მხოლოდ [illegible] არ [illegible] და არ გათავებულა. აქ იყვნენ მუშები, რომელთაც როტშილდ-მანთაშევის ქარხნებში გაუვლიათ რევოლიუციონურ ბრძოლის სკოლა; აქ იყვნენ მუშები, რომელთა ფეხებ თ მოტკეპნილია საკატორღო ციხეების იატაკები და შორეულ ციმბირის მიდამოები; აქ იყო რევოლიუციონური გლეხობა, რომელსაც ალიხანოვ-ავარსკის და კრიმ გირეის შავი დღეების სუსხი გადაუტანია თავის კისერზე.

და ეს მას შემდეგ, როცა მენშევიკების ადგილობრივი არალეგალური 1 ნახ. კაციანი კომიტეტი ბოიკოტით შეხვდა ამ კონფერენციას და ყოველ ღონეს იღებდა მის ჩასაშლელად.

ეს ერთხელ კიდევ ხდის ფარდას მენშევიკურ პარტიის დღევანდელ იდეურ და ორგანიზაციულ სიჩანაკეს.

ეს ხალხი ედგა სათავეში გურიის საქმეს საქართველოს გასაბჭოებამდე. ესენი არიან გული და სული მენშევიკურ პარტიის გურიის ორგანიზაციების. რაღა დარჩა მაშ არალეგალურ ორგანიზაციებში? ვინ არის ის, ვისაც კიდევ შესწევს გამბედაობა სოც.-დემ. პარტიის სახელით ილაპარაკოს?—თითო ოროოლა ნაციონალისტურად განწყობილი ინტელიგენტი და ამდენივე გულუბრყვილო ამხანაგები. მაგრამ შორს არაა ის დრო, როცა ეს ორიოდე უკან ჩამორჩენილი ამხანაგებიც ჰპოებენ გამოსავალ გზას იმ აშმორებულ ჭაობიდან, რომელშიც გარემოებათა ვითარებით ჩაეფლა საქ. სოც.-დემოკრატია და რომელიც სულს უხუთავს ყველა მის მიმდევარ გულწრფელ რევოლიუციონერს.

კონფერენციისათვის დიდ საკამათო კითხვას არ წარმოადგენდა ახალი გზის არჩევა. როცა მას წინაშე დაისვა კითხვა: ლენინი თუ მუსოლინი—მას აქ არც მარქს-ენგელსის მოძღვრების ღრმა ცოდნა სჭირდებოდა, არც ანალიზი და აწონ-დაწონვა, მისი რევოლიუციონური ინსტიქტი, კლასიური შეგნება და საზოგადოებრივი მდგომარეობა წაუძღვა მას წინ რევოლუციის გზით.

გურიის მშრომელი გლეხობა, ამხ. როსტომაშვილის სიტყვა რომ ვიხმაროთ, რომელიც მან ბორჯომში წარმოსთქვა წითელი დროშის ქვეშ დაიბადა, იგი ზრდიდა მას სიყრმიდანვე და მის ქვეშ უნდა დაიმარხოს კიდეც.

აკ. ჭყონია.

საბჭოთა კავშირში

ბაშქირეთი

ბაშქირეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სესსია.

უფა. 29 ივლისი. უფაში გაიხსნა ბაშქირეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მე-3 სესსია. თავმჯდომარის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ხელისუფლების აპარატები გამაგრდა. რაიონებად დაყოფის შემდეგ 295 სავოლოსტო აღმასრულებელ კომიტეტისაგან მხოლოდ 166 კომიტეტი დარჩა. შტატები 955 კაციდან 132-დეა დაყვანილი. მილიციის მოქმედება წარმატებით მიდის. არაყის ფარულად ხდა მოისპო.

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

მოსკოვი. 30 ივლისი. საკავშირო გამოფენაზე გერმანულ ფირმის „იუნკერს“-ის მიერ გამოფენილი იქნება საფრენი აპარატები.

გამოფენაზე მოწვეულნი არიან სოფლის მეურნეობის სხვა და სხვა დარგების მცოდნე იტალიელი მეცნიერები.

საგამომფენო კომიტეტში შემოსულია ფინეთის ფირმების განცხადებები გამოფენაზე მონაწილეობის მიღების შესახებ.

გამოფენაზე მონაწილეობას ღებულობენ 116 ადგილობრივი სოფლის კავშირები, რომელნიც თავს წარმოების ექსპონატებს გამოაფენენ.

პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოს ექსპონატები საკავშირო გამოფენაზე ეხებიან კულტურულ მუშაობას სოფლად. გამოფენაზე მოწყობილი იქნება ქოხ-სამკითხველო, რომელიც გამოხატავს ეხლანდელ პირობებში შესაძლებელ სოფლის ქოხ-სამკითხველოს და ხაზს გაუსვამს წინეთ არსებულ ქოხების ნაკლულევანებას. ოლქის მასშტაბის საჩვენებელ ბიბლიოთეკაში წიგნების შერჩევის გარდა, იქნება აგრეთვე რეცენზიების მიერ ნაჩვენები წიგნების სია. პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოს პავილიონში ნაჩვენები იქნება წერა-კითხვის უცოდინრობასთან ბრძოლის მეთოდები.

სახალხო კომისართა საბჭომ, ის სოფლის მეურნეობები, რომელნიც თავის ექსპონატებს გამოაფენენ საკავშირო გამოფენაზე, გაანთავისუფლა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის 25 პროცენტის შეტანისაგან. მოზრდილი მსხვილფეხა საქონელი და აგრეთვე მუშა-საქონელი, რომელნიც გამოფენილი იქნებიან გამოფენაზე, განთავისუფლებულნი არიან გადასახადისაგან.

მოსკოვში მოეწყო საკავშირო გამოფენაზე ჩამოსასვლელ ექსკურსანტების მიმღები კომისია. რ. კ. პ. მ. კ., მოსკოვის საბჭოსა და სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს მონაწილეობით. კომისიამ ექსკურსანტების ყოფნა გამოფენაზე უნდა გამოიყენოს ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის დამყარებისა, გლეხობის ქალაქის ცხოვრებასთან გაცნობისა და პროლეტარიატი სოციალურ და კულტურულ მიღწევებთან გაცნობის მიზნისათვის. კომისიაში მასიური განცხადებები შემოდის ფაბრიკებისა და ქარხნების მუშაობისაგან გლეხ-ექსკურსანტებზე შეფობის მიღების შესახებ,

მოწყობილია განსაკუთრებული კურსები ჯგუფების ხელმძღვანელებისათვის; აქ ისინი შეისწავლიან როგორ უნდა გაუწიონ ხელმძღვანელობა ექსკურსანტებს სახელმწიფო დაწესებულე-

გამოფხიზლება

(მენშევიკური პარტიის დაშლა-დარღვევის გამო).

„არც ტირილი, არც სიცილი, არამედ გაგება“.

ვერავინ ყოფს უარს, რომ ჩვენ ვდგევართ უდიდესი ფაქტის წინაშე. ამხ. ვ. ბახტაძე ერთ თავის წერილში ყოფილ მენშევიკების კონფერენციის გამო, ამას წინათ სწერდა (იხ. „კომუნისტი“ № 149), რომ „8 ივლისს ქუთაისში ისტორიული მნიშვნელობის ნაბიჯი გადაიდგმებაო, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება არა მარტო ჩვენში, არამედ მთელი **მეორე ინტერნაციონალის ცხოვრებაში**“. აქ არაფერი გაზვიადებული არაა. მენშევიზმი როგორც ჩვენში, ისე საერთაშორისო მასშტაბით გამოდიოდა და დღესაც გამოდის, როგორც მუშათა კლასის დამცველთა პარტია. მაგრამ ეს იყო და არის მხოლოდ სიტყვა, მხოლოდ ნიღაბი; ნამდვილად კი მენშევიზმი ღალატობს მუშათა კლასს და დაუფასებელ სამსახურს უწევს მის შეურიგებელ მტრებს: კაპიტალისტებს და მემამულეებს, ე. ი. არსებულ ბურჟუაზიულ წესწყობილებას. აქედან აშკარაა, რომ ადრე თუ გვიან ეს უდიდესი სიყალბე, ეს უნამუსო სიცრუე და ტყუილი აუცილებლათ უნდა გამოაშკარავდეს. ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში ჩვენ მოწამენი ვართ იმის, რომ მენშევიკურ პარტიებს როგორც ჩვენში, ისე სხვა ქვეყნებში სტოვებენ ცალკე პირები, ხშირათ ისეთები, რომლებიც მთავარ და ხელმძღვანელ როლს თამაშობდენ პარტიაში, და მთელი ჯგუფები. მართალია ამ გარემოებას შეჰქონდა და შეაქვს მენშევიკურ პარტიებში ერთნაირი დეზორგანიზაცია და რყევა, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ დღემდის ეს პარტიები კიდევ საკმარისათ მტკიცეთ ინახავენ ან ინახავდენ თავის მთლიანობას.

და რამდენათ საგულისხმიერო და ღირსშესანიშნავი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ სწორედ ერთი იმ ქვეყანათაგანში, სადაც მენშევიკური პარტია შედარებით ყველაზე უფრო ძლიერ რიცხოვანი იყო და სადაც მას მტკიცე და მაგარი დისციპლინით შეიარაღებული ორგანიზაცია ჰქონდა ეს პარტია საბოლოოთ ირღვევა, იშლება და მოსპობის გზაზეა დამდგარი. მე ვამბობ **საქართველოზე და საქართველოს სოც.-დემ. პარტიაზე**. ცნობილია, რომ ქართველი მენშევიკები ერთნაირ ბურჯს წარმოადგენდენ მსოფლიო მენშევიზმისათვის. **კაუცკი, ვანდერველდე, მაკდონალდი** და მათნი ძმანი ქართველ მენშევიზმში ხედავენ მსოფლიო მენშევიზმის ანუ მეორე ინტერნაციონალის ერთნაირ გამართლებას. და აი ეს სამაგალითო პარტია, მე-2 ინტერნაციონალის ერთი ბურჯთაგანი ირღვევა და საბოლოოთ ისპობა. ჯერ კიდევ ამას წინაზე, სულ რაღაც თვე-თვენახევარის წინეთ, ბ. კაუცკი ერთ ერთ თავის წერილში ქართველ მენშევიკების მიმართ, რომლებიც საბჭოთა საქართველოში არალეგალურ მუშაობას ეწევიან იატაკ-ქვეშ საბჭოთა ხელისუფლების დასამხობათ. უწინასწარმეტყველებდა ბოლშევიზმს და საბჭოთა ხელისუფლებას სულ ახლო მომავალში სრულ დაღუპვას და მენშევიკურ პარტიას და ბურჟუაზიულ დამფუძნებელ კრებას კი სრული გამარჯვებით დაგვირგვინებას (იხ „ჩვენი ერთობა“, № 6, ივნისი, 1923 წ.) აი ასეთი იმედით იყო აღტყინებული მოხუცი კაუცკი სულ რაღაც ორი-სამი თვის წინეთ, და ასეთ ბრწყინვალე იმედებს უძრავდა იგი გულში ქართველ მენშევიკებს და აი ახლა წარმოიდგინეთ, რა უნდა იგრძნოს მან საქართველოს მენშევიკური პარტიის სრული დაშლა-დარღვევის წინაშე, რომელიც ამ ჟამათ შეუჩერებლათ და აჩქარებული ტემპით სწარმოებს და რომელიც ნიშნავს არც მეტს არც ნაკლებს, როგორც მის სრულ გაუქმება ლიკვიდაციას!

მაგრამ შეიძლება ჩვენ ვცდებით, შეიძლება ჩვენ სისწორით და ღირსეულათ ვერ ვაფასებთ ფაქტებს და ვუკეთებთ მათ ყალბ ანალიზს. და შესაძლებელია მართალია სწორედ მენშევიკების ცენ. კომიტეტი, რომელიც მთელი ამ დაშლის და რღვევის უტყუარ ნიშნებს ხსნის ერთი მხრით ჩეკას რეპრესიებით და მეორე მხრით იმით, რომ მენშევიკურ პარტიიდან გარბიან მხოლოდ მისი მოღალატენი და მტრებიო.

როგორც ზევით ვამბობდი, მენშევიზმის დარღვევა და მოსპობა, როგორც მუშათა კლასის პარტიისა, ეს აუცილებელი და, მაშასადამე, სრულიად ბუნებრივი მოვლენაა; ამიტომ როცა ამ პარტიიდან გარბიან ცალკე პირები და ჯგუფები, ეს სრულებით გასაკვირალი არაა, და არც არავითარ ეჭვს არ უნდა ბადებდეს ვისმეში, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენ არც კი გვჯეროდეს იმათი გულწრფელობა, ვინც დღეს ჩვენში მენშევიკური პარტიიდან გარბის. მაგრამ როცა მენშევიკური პარტიიდან გასვლა ღებულობს მართლაც მასსიურ ხასიათს, როგორც ეს ხდება ჩვენში, ამ გარემოებამ არ შეიძლება არ დააფიქროს თითეული სერიოზული პოლიტიკური მოღვაწე. ჩვენ ვალდებული ვართ ეს ფაქტი ყოველ მხრივ ავსწონ დავსწონოთ და დავაფასოთ; ვალდებული ვართ მას სწორი და ობიექტიური მიუდგომელი ანალიზი გაუკეთოთ, რათა თვით ფაქტის მნიშვნელობაში არც თავისი თავი დავატყუილოთ და არც სხვა ვინმე შევიყვანოთ შეცდომაში. ასეთი დაფასებისათვის ჩვენ უკვე მოგვეპოვება დღეს საკმარისი მასალა. ჩვენ გვაქვს არა თუ კერძო განცხადებები მენშევიკურ პარტიიდან გამოსვლის შესახებ, ჩვენ გვაქვს მასსიური და ჯგუფური განცხადებები ასეთი ხასიათის; მაგრამ ეს კიდევ არაფერი: ჩვენ გვაქვს ამ უკანასკნელ დროს ბევრათ უფრო მნიშვნელოვანი ფაქტები. მე ვამბობ მენშევიკური პარტიის ყოფილ წევრების კონფერენციებზე, რომლებიც ამ უკანასკნელ დროს იმართებიან საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში. ჯერ-ჯერობით ეს კონფერენციები იმართებიან მაზრებში და რაიონებში, და ისინი ამით ამზადებენ ნიადაგს საერთო კონფერენციის მოსაწვევათ მთელ საქართველოში.

სამწუხაროთ, მე შემთხვევა არ მქონებია პირადათ დავსწრებოდი რომელიმე ასეთ კონფერენციას. მაგრამ სამაგიეროთ მე გულდასმით ვადევნებ თვალყურს ყველა ამ კონფერენციებს, ვკითხულობ ყველა ანგარიშებს, ყოფილ მენშევიკმუშების და გლეხების მიერ წარმოთქმულ სიტყვებს და განცხადებებს, სადაც შეუბრალებლათ დაგმობილია მენშევიკური პარტიის ტაქტიკა წარსულში და აწმყოში, სადაც ნიღაბი ეხდება მენშევიკური პარტიის ბელადების ნათქვამს და ნამოქმედარს, და ყველა ამიდან გინდა ამოიკითხო ის, რაც ეფარება ამ სიტყვებს, გინდა გაიგო ნამდვილი გულის ნადები, რამ აიძულა მენშევიკური პარტიის ძირითადი ორგანიზაციების ასეთი ამხედრება თავისი ცენტრის წინააღმდეგ; რამ გამოიწვია მასსიური გასვლა მენშევიკური პარტიიდან? ეს ერთი. მეორეც, ის, თუ რას მოასწავებს ყოველივე ეს? ნიშნავს ეს მენშევიკური პარტიის, როგორც მუშათა კლასის დამცველი ორგანიზაციის მოსპობას ჩვენში, თუ ესაა მხოლოდ ამ პარტიის გადახალისება ან კიდევ უფრო მისი გაჯანსაღება?

II

„ისტორიის სამსჯავრო არის ყველაზე უფრო მართალი და მიუდგომელი სამსჯავროო“, —ასე იწყებს თავის მოწოდებას ქ. თფილისის მეოთხე რაიონის ყოფილ მენშევიკების კონფერენციის მომწვევი საინიციატივო ჯგუფი. 8 ივლისს, ყოფილ მენშევიკების ქუთაისის სამაზრო კონფერენციის მისასალმებელი სიტყვაში ყოფ. მენშევიკმა ამხ. კ. შენგელიამ, სხვათა შორის, განაცხადა: „ამხანაგებო, დღევანდელი დღე ისტორიულ დღეთ უნდა ჩაითვალოს საქართველოს მუშათა კლასისათვის. დღეს **ხდება გაერთიანება იმ ორი ძმის, იმ ორი მიმართულების**, რომლებიც რამდენიმე ხნის განმავლობაში მტრულად იყვნენ განწყობილნი ერთმანეთს შორისო“.

უნდა პირდაპირ და გულახდილათ განვაცხადო. არ ვიცი, სხვები როგორ ფიქრობენ ან რას იტყვიან ზევით მოყვანილ სიტყვების შესახებ: მე კი უნდა ვთქვა, რომ ეს სიტყვები პირდაპირ **გულის სიღრმიდან არიან ამონახეთქი.** დიაღ, ყველაზე უფრო სასტიკი და ყველაზე უფრო სამართლიანი სამსჯავრო—ეს ისტორიული სამსჯავროა. და ისტორიამ უკვე გამოუტანა თავისი პირუთვნელი, მიუდგომელი და სამართლიანი განაჩენი როგორც ბოლშევიზმს, ისე მენშევიზმს.

ისტორიულმა მსვლელობამ და რევოლიუციონური ბრძოლის განვითარებამ გამოიწვია მუშათა კლასის ერთად ერთი პარტიის—**სოც.-დემოკრატიის გათიშვა** და ორ ნაწილათ გაყოფა. ერთი ნაწილი წარმოადგენდა ოპორტიუნისტულ-რეფორმისტულ ფრაქციას, რომელიც მუდამ ბურჟუაზიისკენ მიიწევდა და იყურებოდა, რომელიც ყოველთვის ქადაგებდა ბურჟუაზიასთან შეთანხმებას და მორიგებას და რომელიც არსებითად რევოლიუციის მოხდენის წინააღმდეგი იყო და ბოლოს აშკარა კონტრ-რევოლიუციონურ პარტიათ გარდაიქცა. სოციალ-დემოკრატიის ამ ნაწილმა მენშევ. პარტიის სახელწოდება მიიღო. ეს პარტია როგორც ჩვენში, ისე რუსეთში და ყოველგან **ოქტომბრის რევოლიუციის, ე. ი. პროლეტარული რევოლიუციის ხანაში მუშების და გლეხების ძალა-უფლების წინააღმდეგ პირდაპირ აშკარა ბრძოლაში ჩაება**. მაშასადამე, მენშევიკური პარტია პროლეტარული რევოლიუციის დროს პროლეტარიატის მოღალატე შეიქნა. ეს ობიექტიური ჭეშმარიტებაა, რომელიც დამტკიცებას არ საჭიროებს. ეს ჭეშმარიტება, ეს ფაქტი. უკვე შეიგნო მენშევიკური პარტიის მასსამ მუშების და გლეხების უმრავლესობამ და ამიტომ ეს მასსა ვეღარ ურიგდება მენშევიკურ პარტიაში ყოფნას და იგი ხმა მაღლა გაიძახის ამის შესახებ. მაგრამ ესაა უკვე ნამდვილი აჯანყება თავისი საკუთარი პარტიის წინააღმდეგ. მართალი რომ ვთქვათ, ესაა აჯანყება თავისი ხელმძღვანელების, ლიდერების წინააღმდეგ პარტიული მასსის მხრით, იმ ხელმძღვანელების და ლიდერების წინააღმდეგ, რომლებიც არა თუ არ ცნობენ თავის დანაშაულს, თავის ღალატს მასსების წინაშე, არამედ, რომელთაც შეგნებულათ მიყავდათ ეს მასსები ყალბი გზით და ასევე ფიქრობენ მომავალშიაც.

სოციალ-დემოკრატიის მეორე ნაწილი—**ბოლშევიკების ფრაქცია**—წარმოადგენდა მემარცხენე ელემენტს, ის მუდამ შეურყევლათ იდგა რევოლიუციური მარქსიზმის ნიადაგზე, ის უარყოფდა ბურჟუაზიასთან ყოველგვარ პოლიტიკურ კავშირს და სამაგიეროთ მუდამ ქადაგებდა და საქმითაც ატარებდა ცხოვრებაში მჭიდრო **კავშირს გაჭირვებულ გლეხკაცობასთან**; ის იყო მომხრე რევოლიუციური ნაბიჯების და მოქმედების არსებული ბურჟუაზიული წესწყობილების წინააღმდეგ; ის მიუძღოდა პროლეტარიატს ყველა რევოლიუციურ გამოსვლებში; ის ჭირშიაც და ლხინშიაც ყოველთვის პროლეტარიატთან და სოფლის გაჭირვებულ ხალხთან იყო. მისი პრაქტიკული ნაბიჯები იქნებ ყოველთვის არ იყვენ სწორი, ის შეიძლება ხშირათ ცდებოდა კიდევაც, მაგრამ ის ყოველთვის ერთგულათ ემსახურებოდა პროლეტარიატის და გლეხკაცობის ინტერესებს, რაც დამტკიცდა ყველაზე უფრო ნათლათ ოქტომბრის რევოლიუციის ხანაში. კიდევ განმეორებით ვამბობ: საქმე ცალკე შეცდომებში როდია, ეს შეცდომები ყოველთვის გასწორდება, თუ კი რომ საერთო პოლიტიკური ხაზი, პოლიტიკური გეზი სწორი და მართალია, თუ ეს პოლიტიკური ხაზი სწორედ და მართლათ გამოხატავს პროლეტარიატის მისწრაფებათ. ამიტომ მე ვამბობ, შეიძლება წარსულში მენშევიკების ზოგიერთი ნაბიჯები სწორი და მართალი იყო მუშათა კლასის ინტერესებისათვის, შეიძლება მეორე მხრით ბოლშევიკები ზოგიერთ კერძო შემთხვევებში ცდებოდენ, მაგრამ პროლეტარული რევოლიუციის და სოციალიზმის ინტერესებისთვის მნიშვნელოვანია სწორედ არა ეს კერძო შემთხვევები, არა ეს ცალკე სწორი თუ შემცდარი ნაბიჯები, არამედ **საერთო ტაქტიკა, საერთო პოლიტიკური ხაზი**. ისტორიამ ყველასათვის თვალსაჩინოთ დაამტკიცა ის, რომ შეიდემანები, ვანდერველდეები, მაკდონალდები და ძმანი მათნი არიან უბრალო მოსამსახურე-ლაქიები მუშათა კლასის სისხლისმსმელ კლემანსო-პუანკარეების, ლოიდ ჯორჯ-კერზონების და ძმათა მათთა და როგორც ასეთები პირდაპირი მონაწილენი და ხელის შემწყობნი ირლანდიელი ხალხის, რურის მუშების და საერთოდ მთელი სოციალისტური პროლეტარიატის, რევოლიუციონური გლეხკაცობის და ყველა დაჩაგრულ-დამონებულ ეროვნებათა ტანჯვა-წვალებისა, შეურაცყოფისა და ამოხოცვისა.

სამწუხაროთ, ქართველი მენშევიკი-მუშები და გლეხები თავის დროზე ვერ ხედავდენ, თუ როგორია იმათი ხელმძღვანელები; ჟორდანია, ჩხეიძე, წერეთელი, რამიშვილი, ჩხენკელი და სხვები, რომელთაც ისინი უზომოთ ენდობოდენ, უკავშირდებოდენ და კრავდენ ხელშეკრულებებს ჯერ მეფის შავ გენერლებთან: კალედინებთან, ალექსეევებთან, დენიკინებთან და ვრანგელებთან, შემდეგ გასისხლიანებულ იმპერატორ ვილჰელმის სარდლებთან და მას შემდეგ კიდევ ინგლისელების და ფრანგების იმპერიალისტებ ს აგენტებთან. ბ. ევგენი გეგეჭკორი დაძრწოდა ალექსეევთან და დენიკინთან ისე, როგორც ახლა თითონ იგი და ბ. ბ. ჩხეიძე, წერეთელი, რამიშვილი და ჩხენკელი დაძრწიან ევროპის რევოლიუციური მუშების და დაჩაგრული ერების სისხლის მსმელ მთავრობათა ხელმძღვანელებთან საბჭოთა რესპუბლიკების და კერძოთ საქართველოს მუშურ-გლეხურ ხელისუფლების წინააღმდეგ ასამხედრებლათ და საბჭოთა ფედერაციის მთელი მშრომელი ხალხის ხელახლა სისხლის დასაღვრელათ.

თუ წინეთ ამას ვერ ხედავდენ ქართველი მენშევიკი—მუშები და გლეხები, ახლა მაინც ხომ ხედავენ, თუ ვის ეჩიჩინებიან და ვის თხოვენ დახმარებას საბჭოთა ხელისუფლების დასამხობათ ქართველ მენშევიკების მეთაურები და ბელადები: ჟორდანია, რამიშვილი, ჩხეიძე და სხვები, ე. ი. რურის მუშების და ირლანდიელი ერის ჯალათებისა და ფაშისტებისაგან. რომ მდგომარეობა შეიცვალა, ამის დასამტკიცებლათ საკმარისია მოვიყვანოთ აქ რამდენიმე ადგილი იმ სიტყვებიდან, რომლებიც წარმოთქმულ იქნენ ყოფილი მენშევიკების მიერ იმათ კონფერენციებზე. ქუთაისის სამაზრო კონფერენციაზე ყოფ. მენ-მა ამ. ჯუმბურიძემ მენშევიკების ცეკას პროკლამაციის გამო, სხვათა შორის, განაცხადა: „დღეს გამორკვეულ და რევოლიუციის გზაზე შემდგარ მენშევიკებს მოღალატეებს უწოდებს ის ცეკა, **რომლის საზრუნავ საგანს მხოლოდ მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძოლა შეადგენს. მაგრამ ვიკითხოთ ვინ არის მოღალატე—ის ჩხეიძე**, რომელიც დაძრწის პოლონეთსა და სხვა ბურჟუაზიულ ქვეყნებში და ამხედრებს მათ საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ, თუ ის მენშევიკი, **რომელიც აშკარათ ხედავს ჩხეიძეების მზგავს ლიდერების გამცემლ და მოღალატეობას** მუშათა კლას და რევოლიუციისა და მხარში უდ ბა კომუნისტურ პარტიას. . . „ ტორია—განაგრძობს ამხ. ჯუმბურ —იტყვის ჩვენზე აქ შეკრებილებ **ესენი ცდებოდენ წარსულში, მაგრ მათ, როგორც კი შეიგნეს ეს შე დომა, უყოყმანოთ მიატოვეს ძველ შემცდარი გზა და გაბედულ დაადგ ნ ახალ გზას—რევოლიუციი გამარჯვებისა**“. . . მათ შესახებ კ რომლებიც ემიგრაციაში პარიზის დ ბერლინის კაფეებში ანადგურებენ საქართველოდან გატაცებულ ქონებას. . . ისტორია იტყვის: **ესენი იყვნენ მატყუარები წარსულში, მოღალატენი დღეს და ახეთებათ დარჩებიან** მანამ, სანამ მათი არსებობა არ მოისპობა საბოლოოთ.

კიდევ უფრო საყურადღებო იყო მეორე ყოფილ მენშევიკ მუშის, ძველი იატაკ-ქვეშ პარტიული მომუშავის—ამხ. **მიტრ. ნუცუბიძის** სიტყვები, მენშევიკების ცეკას განცხადების შესახებ ამხ. ნუცუბიძე აცხადებს: დიაღ, **მე ვღალატობ ბურჟუაზიას, და ვუბრუნდები მუშათა კლასს,—რევოლიუციას. თუ ცეკა ჩვენი ყოფილი პარტიისა ბურჟუაზიის ცეკაა**, მაშინ დიაღ, **მე მოღალატე ვარ მისი და**

ბებისა, ფაბრიკებისა, ქარხნებისა, სასწავლებლებისა და თეატრების დათვალიერების დროს.

მოწყობილი იქნება მოკლე ლექციების ციკლი პოლიტიკურ განმანათლებელ, ეკონომიურ და კულტურულ საკითხების შესახებ და მიტინგები ცნობილ ორატორების მონაწილეობით. მუშათა კლუბებში განზრახულია მოეწყოს ქალაქის პროლეტარიატისა და გლეხების საზეიმო კრებები.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აფხაზეთი.

საქალაქთაშორისო ტელეფონი.

სოხუმი. 30 ივლისი. უკვე სრულდება საქალაქთაშორისო ტელეფონის სადგური შეკეთება. ეს შეკეთება მეტად ძნელი შესასრულებელი იყო და იგი დამთავრდა სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტების თავგამოდებული მუშაობის წყალობით, განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის გუდაუთის აღმასრულებელ კომიტეტს.

სოხუმის ნავთსადგურის შეკეთება.

სოხუმი. 30 ივლისი. ამიერ კავკასიის ნავთსადგურების სამმართველომ სოხუმის ნავთსადგურის სამმართველოს განკარგულებაში გადასდო ნავთსადგურის შესაკეთებლად 3000 მან. ოქრო. ამ შეკეთებას სასწრაფო წესით შეუდგებიან.

„ალბატროსის“ ამოღება.

სოხუმი. 30 ივლ. სოხუმის ნავთსადგურში დაიწყო მუშაობა ქარიშხალის დროს დაღუპული გემის „ალბატროს“-ის ამოსაღებად.

აჭარა.

ბათომის ნავთსადგურში.

ბათომი. 30 ივლისი. მოვიდა „პაკეს“ საზოგადოების საფრანგეთის გემი „ტადლა“ და მოიტანა 54.230 კილო ტვირთი; მათ შორის არის სასოფლო სამეურნეო მანქანები, მედიკამენტები, ავტომობილები, კინემატოგრაფიულ ფილმას ლენტები და სხვა.

ახალი სასწავლებლები.

ბათომი. 30 ივლისი. აჭარის სახალხო განათლების კომისარიატი შეუდგა მზადებას, შემოდგომიდან ახალ სპეციალურ სასწავლებელთა გასახსნელად: საპედაგოგიო, სასოფლო სამეურნეო, სატეხნიკო ინსტიტუტის და აგრეთვე ადგილობრივ სკოლების მოწყობას.

ჭოროხის მაზრა.

ბათომი. 30 ივლისი. ბათომისა და აჭარის წყლის გაუქმებულ მაზრების ნაცვლად დაარსდა ჭოროხის მაზრა, რომელშიაც შედის შემდეგი თემები: ბარცხანისა, აჭარისწყლისა და გონიისა.

აზერბეიჯანი

დახმარება მთიან ყარაბაღს

ბაქო. 30 ივლ. აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭომ მთიან ყარაბაღის ახლად დაარსებულ ოლქის დასახმარებლად გადასდო 8,000 ჩერვონეცი, 5,000 ფუთი ნავთი, 100,000 არშინი ნარმა და სხვა და სხვა საამშენებლო მასალა.

ბავშვთა შემოქმედების მუზეუმი

ბაქო. 30 ივლ. ბაქოს სახალხო განათლების სოციალური აღზრდის განყოფილებას განზრახვა აქვს ახლო მომავალში მოაწყოს ბავშვთა შემოქმედებისა და თვალსაჩინო ხელსაწყოთა მუზეუმი. წინასწარი მუშაობა უკვე დაიწყო.

პროფესიონალური სკოლა მუსულმან ქალებისათვის.

ბაქო. 30 ივლისი. მუსულმან მუშაქალთა კლუბთან, რომელიც ალიბაირამოვის სახელობაზეა დაარსებული, ენკენისთვიდან იხსნება 4 წლიანი პროფესიონალური სკოლა მუსულმან ქალებისათვის. სკოლაში ასწავლიან: ფეხსაცმელის კერვას, ქსოვას, ჭრაკერვას და ხელ-საქმეს.

აგვისტოს შუა რიცხვებში განზრახულია ქალებისათვის კურსების გახსნა რემინგტონისა, ტელეგრაფისა და ბუხალტერიის, ძიძაობისა, ბებია ქალობისა, მოწყალების დებისა და სხვა ხელობის შესასწავლად. კურსებს ეყოლებათ გამოცდილი ხელმძღვანელები. მეცადინეობა იწარმოებს თურქულ ენაზე. სწავლა უსასყიდლო იქნება. ამ კურსებმა და სკოლებმა, განსაზღვრულ დროის განმავლობაში უნდა მოგვცეს კვალიფიციური მუსულმანი მუშა-ქალები—ეს პირველი მებრძოლი რაზმია მუსულმან ქალებისა შრომის ფრონტზე.

სომხეთი

„3 ოქტომბრის სახლი“

ერევანი. 30 ივლ. ერევნის მეორე საფეხურის სკოლების კოლექტივის ბიურომ დაადგინა გახსნას „3 ოქტომბრის სახლი“.

ამ სახლთან დაარსდება სხვა და სხვა სექციები: სალიტერატურო, მარქსისტული, სამეცნიერო-საბუნებისმეტყველო, დრამატიული და საექსკურსიო.

განათლების მუშაკთა კავშირში

ერევანი. 30 ივლ. სომხეთის განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ დაადგინა შეადგინოს „კავშირის ისტორია“.

აგვისტოს განმავლობაში განათლების მუშაკთა კავშირი მოაწყობს ყრილობებს გუმბრის, ეჩმიაძინის, დელიჯანის, კარაკლისის და ლორის მაზრებში. ამ მიზნისათვის ცენტრიდან მიემგზავრება ლექტორთა ჯგუფი. ყრილობების დასრულების შემდეგ, ადგილობრივ მიეცემათ წინადადება კურსები მოაწყონ ადგილობრივი ძალებით.

პარტიული ცხოვრება

კოლოფების 1-ლ სახელმწიფო ქარხნის უჯრედის № 14 მუშაობა 1923 წ. ივლისში

საანგარიშო დროის განმავლობაში ბიუროს ჰქონდა 4 სხდომა. სხდომებზე დაესწრენ ახალგაზრდათა კომკავშირის 4 წევრი და 8 წევრი უჯრედის ბიუროდან. სხდომებზე გარჩეული იყო საკითხები—პოლიტიკური—1, პარტიული—8, კულტურულ განმანათლებელი—1.

უჯრედს ივლისის განმავლობაში ჰქონდა 4 სხდომა, სხდომებს დაესწრენ: კომუჯრედიდან 45 წევრი, ახალგაზრდათა კომკავშირიდან 28 წ. და უპარტიოები—45 კაცი. გარჩეული იყო საკითხები: პარტიული—5, პოლიტიკური—4, კულტურულ განმანათლებელი—2, საწარმოო—1 და პროფესიონალური—1. უჯრედის ყველა სხდომები ღია იყო. შვებულებების გამო უპარტიოები ამ ჟამათ ნაკლებ ესწრებიან სხდომებს. საანგარიშო დროის განმავლობაში მუშაობის არა ნორმალურ მსვლელობის გამო პოლიტიკურ წრეებში, როგორც რუსულში, ისე ქართულში,—ისინი დახურული იქნენ. მაგრამ ა. წ. ენკენისთვიდან პოლიტიკური წრეები კვლავ განაახლებენ თავის მუშაობას. კომუჯრედისა და ახალგაზრდათა კომკავშირის უჯრედის უკანასკნელ გაერთიანებულ სხდომაზე დადგენილება იყო გამოტანილი ყველა წევრების საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებაში ჩაწერის შესახებ.

კომუჯრედი თავის მუშაობით დიდის ავტორიტეტით სარგებლობს უპარტიო მუშათა შორის. უჯრედის სხდომაზე საკითხების განხილვაში მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ უპარტიო ამხანაგებიც. უჯრედის წევრებისა და უპარტიო ამხანაგების მიერ წამოყენებულია საკითხი სასპორტო წრის დაარსების შესახებ. უჯრედის ინიციატივით გამოშვებულ იქნა კედლის გაზეთის პირველი ნომერი.

საანგარიშო დროის განმავლობაში უჯრედის ყველა სხდომები ხდებოდა ახალგაზრდათა კომკავშირის უჯრედთან ერთად. ახალგაზრდათა კომკავშირის უჯრედის ხელმძღვანელობა მინდობილი აქვთ უჯრედის წევრებს. მუშაობა ნორმალურათ მიმდინარეობს, შეუწყვეტლივ ახალგაზრდათა კომკავშირის უჯრედის მდივანი სათათბირო ხმით შედის კომუჯრედის ბიუროში. ახალგაზრდათა კომკავშირის უჯრედმა და კომუჯრედმა აირჩიეს კომისია სოფელზე შეფობის მისაღებათ, მაგრამ კომისიას ჯერჯერობით არაფერი გაუკეთებია, თუმცა ამას საპატიო მიზეზები აქვს.

უკანასკნელი დროის განმავლობაში უპარტიო ამხანაგებს ძლიერი ლტოლვა ეჩნევათ კომუჯრედისადმი. მათ განცხადებები შეაქვთ პარტიაში მიღების შესახებ. უჯრედის ყველა წევრები ცხოვრობენ და მუშაობენ უპარტიოებთან ერთად და ყველა აღძრული საკითხები წყდება ადგილობრივ. უპარტიო მუშებსა და ადმინისტრაციის შორის არავითარი უთანხმოება არ ჰყოფილა. კომუჯრედი ყოველთვის თანაგრძნობასა და დახმარებას პოულობს უპარტიო მასის მხრიდან კამპანიების ჩატარების საქმეში.

საანგარიშო დროის განმავლობაში მოწყობილი იყო ქალთა ერთი საერთო კრება. ექიმ ზანტურიდისა და მარკოზოვის მიერ წაკითხულ იქნა მოხსენება—ლექცია დედობისა და ბავშობის შესახებ. მუშაობა ქალთა შორის მხოლოდ ეხლა ეწყობა, დიდი ხნის ძილის შემდეგ.

და იმედი გვაქვს, რომ მუშაობა მათ შორის სათანადო სიმაღლეზე დადგება.

ზაფხულის გამო კულტურულ განმანათლებელი მუშაობა ნელის ტემპით მიმდინარეობს, საანგარიშო თვის განმავლობაში გამოშვებული იყო კედლის გაზეთის პირველი ნომერი. თუმცა ის სუსტათ იყო შედგენილი, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ შემდეგი ნომერი უკეთესი იქნება. გაზეთს სახელათ ჰქვია „ტოლკაჩ“-ი. მეორე ნომერი გამოვა შაბათს, 4 აგვისტოს; საანგარიშო თვის განმავლობაში გამართული იყო ერთი საღამო—წარმოდგენა. საღამოს მოწყობაში ჩვენ დახმარება გაგვიწია მთავარ საავადმყოფოს დრამატიულმა წრემ. წერა-კითხვის უცოდინარი მუშები ქარხანაში არ არიან. მუშების ერთი ჯგუფი 10 კაცისაგან შემდგარი ემზადება მუშათა ფაკულტეტზე შესასვლელათ.

რ.

პარტია გვეხმარება თავისი სიტყვით.

— ყველა ჯანსაღი დ ძლიერი ამართული დადის. მათში მოსჩანს პროლეტარიატის სიმძლავრე. რა კარგი იქნება, ჩვენც რომ ხელი მივყოთ ფიზიკურ კულტურას, რომ ვვითარდებოდეთ.

ეს საუბარი სწარმოებს კოლოფების ქარხნის მუშათა ჯგუფში.

— რა თქმა უნდა, შენ მართალი ხარ. ჩვენც ყველაფერი გვაქვს, სასპორტო წრის გარდა. მოდი უთხრათ №-ს, იქნება გამოვიდეს რამე!

თქმა და ასრულება ერთი იყო. შემოვეხვიეთ №-ს და ავუხსენით, რომ ჩვენც საკუთარი ძალღონით გავიღებთ ხარჯს წრის ხელმძღვანელისათვის.

ლაპარაკი დიდხანს არ დარჩა ლიტონ სიტყვად. მეორე დღესვე უჯრედის მდივანმა მოსალაპარაკებლად მოიწვია ამხანაგი ს., რომელსაც სრული გიმნასტიური კაბინეტი აქვს მოწყობილი.

აწონ-დაწონეთ, ვითათბირეთ, ყველაფერი რიგზეა, მაგრამ აქ წარმოიშვა ერთი გადაუჭრელი საკითხი: ბინა არა გვაქვს.

— მოდი და მოვძებნოთ!

საჭიროდ დავინახეთ მივვმართოთ კვება-გემოვნების კავშირსა და თამბაქოს ტრესტს; ვთხოვეთ დახმარება გაეწიათ ჩვენთვის, რომ ერთი დამწვარი სახლი გადაგვეხურნა. რომ უფრო მეტი ფასი ჰქონოდა ჩვენს შუამდგომლობას, ეს საკითხი კომუჯრედის კრებაზე დავსვით, რომელსაც დაესწრნენ უპარტიონი და კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის წევრნიც; მივმართეთ მე-2 საუბნო კომიტეტს, კვება-გემოვნების კავშირს და თამბაქოს ტრესტს, რომ ამ კარგ საქმეში დაგვეხმარებოდნენ და ფიზიკური განვითარების საქმე წესიერ დონეზე დაგვეყენებია, თორემ, ახალისდნენ ახალგაზრდები და ვინ 2 ფუთიან ქვას ეწევა, ვინ 2 ნახ. ფუთიანს. ამას შეიძლება ცუდი შედეგი მოჰყვეს. ამის ასაცილებლად კი ჩვენთვის საჭიროა სასპორტო წრე.

რამდენიმე დადგენილება უკვე იყო კავშირში სპორტის შემოღების შესახებ. მაშასადამე ეს საქმე ჩვენთვისაც აუცილებელი და სავალდებულოა. ჩემის აზრით, ადგილობრივს თაოსნობას ამ შემთხვევაში მხარი უნდა მისცენ, ხალისიანათ უნდა შეეგებნენ მით უმეტეს, რომ კვება-გემოვნების კავშირში გაერთიანებულია დიდძალი მუშა ხალხი, რომლებისათვის ამ დარგშიაც უნდა ვიზრუნოთ რამე.

ჩვენგან ნაჩვენები შენობა უნდა შეკეთდეს, ის ფართო შენობაა და იქ ივარჯიშებდნენ კვება-გემოვნების კავშირის წევრები. ჩემის აზრით, კავშირი და თამბაქოს ტრესტი თანაგრძნობით შეხვდებიან ამ არსებითს მოთხოვნილებას, თუ კი ჰსურთ იყოლიონ სულიერად და ხორციელად ძლიერი მუშები.

მხოლოდ საჭიროა, რაც შეიძლება მალე გამოარკვიონ, თუ რა დაჯდება ხსენებული შენობის გადაკეთება. ალბათ ჩვენ, მუშებიც, ჩვენს წვლილს შევიტანთ ამ საქმეში.

ეს საქმე არაფერმა არ უნდა შეაფერხოს და არც კანცელიარულად უნდა გაჭიანურდეს

მუშკორი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი თბილისში.

(31 ივლისი).

ჩერვონცები	19,100
ოქრ. მომგ. სესხ. 1 მ.	1875
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	18,350
ჩეკები	16,325
დოლარი ეფექტ.	3,750
ჩეკები	3,425
ოსმალ. ქაღ. ლირა ეფექტ.	2800
ჩეკები	2,475
იტალიური ლირა	140
ფრანგული ფრანკი	210
საბჭოთა ფულის ნიშ.	18 ½

მუშკოპის ფასები.

(31 ივლისი).

პური გირ.—60 ათასი. ხორცი ძროხის—380 ათ., ყუბანის ფქვილი გირ.—120 ათ., როსტოვის საპონი—400 ათ., საპონი „ტოლლე“ 450 ათ., ნატეხი შაქარი—900 ათ., ფხვნილი შაქარი 680 ათ., ერბო—720 ათ., კარაქი—1,200,000., ხანის ბრინჯი—280., კართოფილი—35 ათ., თუშური ყველი 480 ათ., წითელი ლობიო—25. პამიდორი—100 ათ. კომბოსტო—60 ათ. ჭარხალი—35 ათ. ცხვრის ხორცი—470 ათ

ტფილისის ბაზრის ფასები.

(31 ივლისი)

პური 1 ხარ.—125—150, ფქვილი—120 და მეტი, ნატეხი შაქარი—1 მილ., ფხვნილი შაქარი—720, ერბო—1 მილ. კარაქი — 1200,000 ათ. ზეთი—500, ძროხის ხორცი—400—500, ცხვრის ხორცი 450—500, თუშური ყველი—500—650, საპონი „ტოლლე“—600, მარმარილოს საპონი—550, აგდაშის ბრინჯი—250, წითელი ლობიო—40—50, მწვანე ლობიო—60—100, კომბოსტო—70, ჭარხალი—70, პამიდორი—100, კვერცხი 10 ც.—550.

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

(31 ივლისს)

კაუსტიური სოდა. ხორბალი და პურეულობა. რუსეთის ხორბლეულობა. ლურსმანი, საპონი სარეცხი. ასანთი რუსეთის. ს. მ. უ. ს. ტრესტის ნაწარმოები (საპნისა, ქსოვილები, კანაფის ოლოფი და სხ.) რუსეთის ფართლეულობა. ტყავის განყოფილების ნაწარმოებნი, ცემენტი, ნოვოროს. ეტერნიტი. სახურავის რკინეული. ქაღალდის ცენტრალური ტრესტისა. ქაღალდი და კარდონი გადასაკვრელი რკინა.

ბირჟის საქონლის განყოფილების მოთხოვნილება.

(31 ივლისი)

უმაღლესი და 1 ხარ. ფქვილი. კრასნოდარის სალამასი. ცემენტი. მოუქნელი ტყავეულობა, შვეიცარიის ყველი, მავთული, ინგლისური თეთრი თუნუქი, შაბიამანი ინგლისური, ქვა-მარილი და დაფქული მარილი ნახიჩევანისა, ბახმუტისა და ხვრიში მარილი, ტომრები, ცეილონის ჩაი, გოგირდი „ბუდა“. ყუბანის ხორბალი და ფქვილი, კარდონი, კალა, კარტოფილი.

ტფილისის საქონლის ბირჟის განწყობილება.

(31 ივლისი)

ხორბლისა და პურის ნაწარმოებზე ფასები მატულობს 1 და მე-2 ხარისხისაზე. მცენარეულის ზეთეული და რძის ნაწარმოებზე ფასები იზრდება. შაქრის ბაზარზე ფასები რყევაშია წინა დღეებთან შედარებით. დანარჩენში ცვლილება არ ეტყობა.

ჩვენ აგარაკებზე

პროფკავშირთა საბჭოს საბავშვო კოლონია კოჯორში.

პროფკავშირთა წევრების შვილებისთვის აგარაკ კოჯორში გაიხსნა საზაფხულო კოლონია. ამ საჭიროებისათვის გადადებულია 17 მილიარდი და უნდა ითქვას, რომ მცირე ნაკლის გარდა, კოლონია კარგათ არის მოწყობილი. ორგანიზაცია, რომელსაც მხოლოდ ორი თვის არსებობა აქვს მინიჭებული, აშკარაა ვერ იქნება ნაკლს აცილებული, მარა მიუხედავად ამისა, საერთოდ საქმე დამაკმაყოფილებელზე უკეთესია.

სულ კოლონიაში არის 200 ბავშვი. გადაწყვეტილი იყო 300 მოწაფის გამოგზავნა, მარა ბინის სივიწროვემ, ამ დადგენილებაზე ხელი აალებინა კავშირების საბჭოს და 200 სულზე შეჩერდა. მარა რომ 800 ბავშვს ექნეს საშუალება გატარდეს კოლონიაში, საბჭომ გადასწყვიტა შეცვლით გაატაროს 300 ბავშვი.

პედაგოგიური პერსონალი შესდგება 12 ხელმძღვანელისაგან, გამგე, თანაშემწე, ვარჯიშობის მასწავლებლისაგან. საექიმო პერსონალი: ფიზიკური მკურნალი ექიმი, მისი თანაშემწე, ორტოპედიული ვარჯიშობის ექიმის და მისი თანაშემწისაგან. ტეხნიკური პერსონალი კი 15 კაცისაგან.

კოლონიას უჭირავს სამი შენობა. თვით სახლებს არა უშავს რა, მარა მოუხერხებელი იმით არის, რომ ერთიმეორისაგან საკმაო მანძილით არიან დაშორებული, რაიც კოლონიის მთლიან ხასიათს და სახეს ზიანს აყენებს.

კვების მხრივ, პირველ ხანებში, საქმე უფრო ცუდათ იყო, მარა უკანასკნელ დროს კვება გაუმჯობესდა და დამაკმაყოფილებლად ჩაითვლება.

მოწაფეთა მოვლა-მზრუნველობა კარგად არის დაყენებული. დედობრივი მზრუნველობა და ნაზი, სათუთი მოპყრობა, მოწაფეთ არ აკლიათ და ყოველი მოწაფე ხელმძღვანელის მუდმივ მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება და ოჯახის მყუდრო და თბილ მოპყრობას განიცდის.

სისუფთავეს დიდი ყურადღება ექცევა, რამდენად ეს მოსახერხებელია დასახელებულ სივიწროვის პირობებში.

მოწაფეთა გონებრივ განვითარებასაც ფართო ადგილი უჭირავს და წინასწარ განსაზღვრულ გეგმით ხდება მუშაობა. კულტურული მუშაობა უფრო წრის ხასიათისაა. არსებობს რამოდენიმე წრე და უკანასკნელებში ეწერება ესა თუ ის მოწაფე სრულიად ძალ დაუტანებლივ, სურვილისამებრ არსებობს შემდეგი წრეები ა) **პოლიტ-ბაასი**, ბ) **დრამატიული**, გ) **ხელოვნების** და დ) **ლიტერატურული**. ეს უკანასკნელი თავის მხრივ განიყოფება რამოდენიმე ქვეწრეებათ მაგალითად:

1) **სარედაქციო კოლეგია**, რომლის მეთვალყურეობით გამოდის ჟურნალი „ხმა ახალგაზრდისა“ და ხანდისხან გაზეთი;

2) **ლიტერატურული გასამართლება**, რომელიც ეწყობა შემდეგის სახით: წრე კითხულობს, რომელიმე საბავშო მოთხრობას, შემდეგ ირჩევა სასამართლო დამცველ-ბრალმდებლით და იწყება პროცესი. სასიამოვნო სანახავია პაწია მოქალაქენი მსჯელობის დროს: გაცოცხლებული სახის მეტყველებით, ბავშური აღტაცებით იცავს ან ბრალს სდებს ამა თუ იმ გმირს. ყველაზე უფრო სასიამოვნო ის არის, რომ რევოლიუციამ დიდი აღმზრდელობითი როლი ითამაშა მოზარდ თაობის აზროვნებაში და ყოველი საკითხი ისე შუქდება, როგორც ამას რევოლიუცია გვიკარნახებს. გაბედული გამოსვლა, სწორი შეხედულებები, მკაფიო სხარტული ენა და ცხოვრების მრავალი კანონის სასურველად ცოდნა ანცვიფრებს მსმენელს და ხშირად, სიყვარულით შეყურებ რა ახალგაზრდებს, სინანულით იგონებ განვლილ, მონობაში გატარებულ, ჩვენს ახალგაზრდობას და გული გიკვნესის.

3) **რეფერატები**. (მეცადინეობა სწარმოებს რუსულ და ქართულ ენაზე).

რეფერატებს აქვთ დიდი განმავითარებელი მნიშვნელობა. უფროსი ჯგუფების მოწაფეთ ურიგდებათ თემები. ისინი ამზადებენ რეფერატს და კითხულობენ თავიანთ წრეში. ბოლოს თან ერთვის კამათი. ჯერ-ჯერობით დამუშავდა რუსულ და ქართულ ლიტერატურიდან 5 რეფერატი. არის აგრეთვე ისტორიული თემებიც. სანიმუშოთ მოვიყვანთ შემდეგ რეფერატს: თემა „პუგაშევჩინა“. რეფერენტი შეეხო თვით პუგაჩევის პიროვნებას, ეპოქას, არეულობას, გლეხების მაშინდელ მდგომარეობას და სხვა. კამათი იყო შემდეგ სფეროში: არის თუ არა ეს რევოლიუციონური მოძრაობა და პუგაჩევი რევოლიუციონერი, სწორი იყო თუარა პუგაჩევის გამოსვლა და სასარგებლო მაშინდელ მდგომარეობისთვის; არის თუ არა აუცილებელი მასისთვის—გლეხობისათვის სწავლა-განათლება, რომ შეიგნონ თავიანთი სოციალური და პოლიტიკური უფლებები და სხვა სასიამოვნო იყო მოზრდილთა გამოსვლა, რითაც მტკიცდება, რომ ახალგაზრდობას აინტერესებს მასების ფართო მოძრაობა და თითონაც სურს ჰქონდეს აქტიური მონაწილე.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ხანებში, წრეებში მონაწილეობდა მცირე ნაწილი, მარა მუშაობის გაღრმავებამ და მისმა ინტენსიურმა მსვლელობამ ძლიან ბევრი დააინტერესა და უმრავლესობა მიიმხრო.

4) **ბუნების შესწავლის მოყვარულთა წრე** ბუნებისავე წიაღში. ხელმძღვანელის თაოსნობით ეწყობა სეირნობა, რომლის დროს მოწაფეები ეცნობიან ადგილობრივ ფლორას და საზოგადოდ ბოტანიკას. სეირნობის დროს ყურადღება ექცევა აგრეთვე გეოგრაფიულ აღწერასაც.

5) **პირველყოფილი კულტურის** პრაქტიკულად შესწავლა: ბუნებების ეპოქა, ნადირობა და სხვა.

კოლონიას [illegible] ხელმძღვანელის თაოსნობით მოწყობილი აქვთ [illegible] თვითმმართველობა. კოლექტივ—ბავშვთა კრებას არჩეული ჰყავს აღმასკომი, რომელსაც ანგარიშვალდებული ჰყავს: 1) სამეურნეო კომისია, 2) სანიტარული, 3) თეთრეულების და 4) შინაგანი წესრიგი, რომელსაც ექვემდებარება ბავშვთა ყოფაქცევა. აღმასკომში შედის პოლიტხელმძღვანელი. კომისიებში თითო ხელმძღვანელი. იმართება ბავშვთა მიტინგი, კრებები და კოლექტიური მუშაობანი. მოწაფეთა თვითმოქმედებას ფართო ადგილი აქვს დათმობილი, რაიც ანვითარებს ბავშვთა ინიციატივას და თვითშეგნებას.

არა ჰყავს კოლონიას სრულიად სიმღერის მასწავლებელი და თვით ხელმძღვანელთ უხდებათ მეცადინეობა. დანიშნულია მუსიკის მასწავლებელი, მარა არ არის ინსტრუმენტი. ესეც დიდი ნაკლია კოლონიისთვის. ნუ თუ არ შეიძლებოდა, რომ კოლონიას ინსტრუმენტი ჰქონოდა და ამით გართულიყვენ ჩვენი მოწაფენი და მათი ესთეტიური მოთხოვნილება დაკმაყოფილებულიყო?..

კოლონიაში არის ამბულატორია და განსაცალკევებული ოთახი (ავადმყოფ ბავშვებისთვის) ექიმ მირაქოვის ხელმძღვანელობით, რომელიც უნდა აღინიშნოს, კეთ ლსინდისიერად და დიდის გამოცდილებით ეპყრობა თავის საქმეს.

ვათავებთ რა ჩვენს წერილს, ერთხელ კიდევ უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ მივიღებთ მხედველობაში კოლონიის მცირე ვადიანობას, საქმე კარგად არის დაყენებული და ყოველი თანამშრომელი, განსაკუთრებით ხელმძღვანელნი, საათების გამსაზღვრის გარეშე მუშაობენ და ჩვეულებად გადაიქცა დღეში 12—14 საათის მუშაობა, რომ მშრომელთა შვილებს ჯეროვანი კვება, მოვლა და დედობრივი ალერსი არ მოაკლდეს.

სფინქსი.

—

P. S. როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ პროფკავშირთა საბჭომ გადასწყვიტა 300 ბავშვის გატარება კოლონიაში. რადგან ერთბაშად ამის განხორციელება ტეხნიკურად გაძნელდა, ამიტომ ეწყობა შეცვლა შემდეგის სახით: ერთი თვის ყოფნის შემდეგ თბილისში უკან იგზავნება ისეთები, რომელნიც ჯანმრთელობით სალი არიან, გამოსწორდენ, მატერიალურად ცოტად თუ ბევრად უზრუნველყოფილნი არიან და სხვა. მათ მაგიერ კოჯორში იგზავნება ულარიბესი და ავადმყოფი ბავშვები.

სფინქსი.

ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოებაში

ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება დაარსდა 1923 წლ. 18 თებერვალს. თავისი მიზნების განსახორციელებლათ საზოგადოებამ დაიწყო საჯარო სხდომებზე მოხსენებების კითხვა, მოხსენებების უმრავლესობა წარმოადგენს დამოუკიდებელ კვლევის შედეგს. წევრების გარდა, საზოგადოების სხდომებს ესწრებოდა და ესწრება გარეშენიც, რომლებიც მონაწილეობენ ამა თუ იმ მოხსენების გარშემო გამართულ კამათში, რაც მოწმობს ჩვენი საზოგადოებისადმი საკმაო ინტერესს ფართო საზოგადოების მხრივ.

სამი თვის განმავლობაში საზოგადოებამ გამართა 11 სხდომა, რომლებზედაც წაკითხული იქნა 14 მოხსენება. მაგალითად: 1) „აღმოსავლეთ თურქესტანში აღმოჩენილ ინდოევროპიულ ენათა ნაშთები“ გ. ახვლედიანის მიერ. 2) „ე. წ. გრძელი ხმოვნები მთიულეთში“—ბ. ჩიქობავასი, 3) „გომარული კილოს მორთოლოგია“—ვ. თოფურიასი; 4) „სომხური დიალექტი თბილისში და მისი ურთიერთობა ქართულ ენასთან“—ლ. მელიქსეთბეგისა; 5) „ერთი საყურადღებო ლიტერატ. ცნობა გ. მთაწმინდელისა (ე. წ. ხანმეტური სახარების შესახებ)—ა. შანიძისა; 6) მთიულური კილოს ფონეტიკა—ბ. ჩიქობავასი; 7) „დავ. აღმაშენებლის მიერ შიო მღვიმისადმი ბოძებულ სიგელის დასაწყისი სიტყვები“—ა. შანიძის, 8) „ოსურ სინტაქსიდან“—გ. ახვლედიანის, 9) „სიტყვა „ღმერთი“-ს შესატყვისობისათვის აფხაზურში“—ს. ჯანაშიასი; 10) „გომარული კილოს ფონეტიკა“—ვ. თოფურიასი, 11)

ცხდები ახეთად . . მენშევიკი მუშა ჩამორჩა რევოლიციურ გზას, გაიყინა ერთ წერტილზე. დღეს ეს ჩამორჩენილი მუშა გამოირკვა და უბრუნდება სოციალიზმის მისაღწევათ სწორ გზას. ეს მუშა რომ რეგრესისაკენ წასულიყო, მაშინ შეიძლებოდა მისი მთლადაჟეთ ჩათვლა, მაგრამ როდესაც დღეს კომუნისტური პარტია მსოფლიო რევოლიუციის ალშია გახვეული, მაშინ ძველი რევოლიუციონერს—განზე გადგომა არ ეპატიება“... დაახლოვებით ასეთივე სიტყვები გაისმოდენ ქ. თბილისის რაიონულ კონფერენციებზე (ბესოშვილი, ვაჭარაძე, ადამოვი და სხვ.)

როცა ამას ვწერდი, მე ხელთ არ მქონებია ანგარიში ყოფილ მენშევიკების ქ. ტფილისის საერთო კონფერენციისა. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ იგივე განმეორდებოდა იქაც, რაც ითქვა და რასაც ადგილი ქონდა ქუთაისში და ტფილისის რაიონულ კონფერენციებზე. და დარწმუნებული უნდა ვიყოთ იმაშიაც, რომ იგივე განმეორდება სრულიად საქართველოს მომავალ ყოფილ მენშევიკურ პარტიის წევრების კონფერენციაზედაც. აქ არაფერი არაა გასაკვირალი და არც მოულოდნელი. ესაა მენშევიზმის ლიკვიდაცია, გაუქმება. ადრე იქნება თუ გვიან ის უნდა აღიგავოს. საბჭოთა რესპუბლიკებში ეს პროცესი ბევრათ უფრო დაჩქარებით უნდა მოხდეს, და ხდება კიდევაც. მენშევიზმის ლიკვიდაცია დაიწყო ჯერ ცალკე პირების გამოსვლით მენშევიკური პარტიიდან, შემდეგ გამოდიოდენ მთელი ჯგუფები, ბოლოს ამან მასსიური ხასიათი მიიღო. განსაკუთრებით დაჩქარდა ეს პროცესი საქართველოში. ამას, რა თქმა უნდა თავის მიზეზი აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ **მენშევიზმი ჩვენში ხელოვნურათ წარმოშობილი პარტია იყო**, რომ მას არა თუ საბჭოების ხანაში, არამედ თვითმპყრობელობის დროსაც მკვიდრი ნიადაგი არ ქონებია. ის გარემოება, რომ საქართველო წვრილ ბურჟუაზიული ქვეყანაა და პროლეტარიატი ნაკლე-

იმას, რომ უთუოდ აქ მენშევიზმს უნდა ებოგინებია და გაედგა ფესვი. ეს რომ ასე იყოს, მაშინ ინგლისი და ამერიკა ბოლშევიზმის და კომუნისტური პარტიის კერა და აკვანი უნდა იყვენ, მაგრამ, სამწუხაროთ, ეს ასე როდია. კომუნისტური პარტიის სულის ჩამდგმელის როლში ინგლისში, ამერიკაში და სხვა განვითარებულ ქვეყნებში გამოდის ნახევრათ გაუნათლებელ და ჩამორჩენილ გლეხურ რუსეთის კომუნისტური პარტია. ასეთია რევოლიუციის და კომუნიზმის გზები. როგორც მშვენივრათ შენიშნეს თავის კონფერენციებზე ყოფილ ქართველ მენშევიკ-მუშებმა და გლეხებმა, ისინი თავიდან აცდენ სწორ გზას და დღემდის ვიდოდენ ბრუნდე გზით, სანამ თითონ თავისი თვალებით არ დარწმუნდენ მის სიბრუნდეში. მაგრამ როგორც კი ეს ხალხი, ბუნებით და მდგომარეობით რევოლიუციონერი, დარწმუნდა იმაში, რომ იგი კონტრ-რევოლიუციურ საქმეს აკეთებს, რომ იგი ღალატობს მუშათა კლასს, სოციალიზმს და ემსახურება მშრომელი ხალხის მყვლეფელებს და მძარცველებს, მან გაახილა თვალი და უყოყმანოთ და აშკარათ დაგმო ეს ძველი, მენშევიკური გზა და გაბედულათ და სრული შეგნებით გადასწყვიტა დაადგეს ბოლშევიკების მიერ ნაჩვენებ გზას, რომელსაც იგი წინათ აცდა მატყუარა ლიდერების რჩევით და დარიგებით. ამიტომ მენშევიზმს ასე უეცრათ გამოეცალა ნიადაგი ჩვენში, ასე უეცრათ გაკოტრდა ის ჩვენში, ასე ერთბაშათ, ერთი დაკვრით ჩამოშორდა და ჩამოეცალა საქართველოს მენშევიკურ პარტიას ძირითადი ელემენტები, მუშების და გლეხების მასსა, რომელიც დღეს თავისი თაოსნობით აცხადებს მენშევიკურ პარტიას გაუქმებულათ და მოუწოდებს ყველა თავის ტოლ-ამხანაგებს მიატოვონ ის. ჟორდანიების და წერეთლების გავლენა საქართველოს მშრომელ მასსაზე ჩვენ ავხსნათ მარტო იმით, რომ საქართველო წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს არა სამრეწველო და არა პროლეტა-

წვრილ-ბურჟუაზიულ ქვეყანას, მაშინ ჩვენ როგორღა უნდა ავხსნათ მაკდონალდების, გომპერსების და სხვების გავლენა ინგლისის და ამერიკის შეერთებულ შტატების პროლეტარიატზე. და განა ვის შეუძლია იმის უარყოფა, რომ მშრომელი მასსა, მუშები და გლეხები როგორც რუსეთში, ისე ჩვენში უფრო რევოლიუციურათ და უფრო სოციალისტურათ, და მაშ'ადამე, უფრო ბოლშევიკურათ არის განწყობილი, ვინემ კულტურულათ და კაპიტალისტურათ უფრო განვითარებულ ქვეყნებში. აი რისთვის ვამბობდი მე ზევით იმას, რომ მენშევიკური პარტია სრულიად ხელოვნურათ იყო ჩვენში შექმნილი, რომ ის სულდგმულობდა აქ უმეტეს ნაწილათ მუშების და გლეხებ სიდიდი ნაწილის მხრით, განუსაზღვრელი ნდობით თავის ბელადების მიმართ. ამ უკანასკნელებმა კი იმის მაგიერ, რომ კეთილსინიდისიერათ ესარგებლნათ რევოლიუციონურათ განწყობილ ადგილობრივ მუშების და გლეხების ნდობით, სრულიად ბოროტათ გამოიყენეს ეს ნდობა და მასთან მუშების და გლეხების რევოლიუციური ენერგია და თაოსნობა თითქმის სავსებით შებორკეს და ჩაკლეს, დროებით მაინც. ვის არ გაუგონია ქართველ მუშების და გლეხების ძლიერი რევოლიუციონური მოძრაობა მეოცე საუკუნის დასაწყისში, ის გასაოცარი და სამაგალითო აღფრთოვანება, რომელსაც ისინი მაშინ იჩენდენ საზიზღარი მეფის თვითპყრობელობის და მემამულეების და კაპიტალისტების წესწყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს ბრძოლა შევა რუსეთის რევოლიუციურ მოძრაობის ისტორიაში, როგორც ერთი უბრწყინვალესი გვერდი. ჩვენ ყოველთვის სამართლიანათ ვამაყოფდით და ვიამაყებთ კიდევაც ამ ხანის რევოლიუციური ბრძოლით და მთელი წყება საუკეთესო რევოლიუციონერებით. მაგრამ რა იქნა, სად გაქრა ეს რევოლიუციური ენერგია და რევოლიუციური ინიციატივა შემდეგ ხანაში, უდიდეს რევოლიუციის დროს? როგორ მოხდა, რომ ხალხი, რომელიც თავდავიწყებით იბრძოდა მეფობის წინააღმდეგ, რომელიც თავგანწირულათ ეომებოდა მემამულეების და კაპიტალისტების რეჟიმს, რომელიც ვერ იტანდა მეფის შავრაზმულ გენერლებს და პოლიციელებს, თითქოს დაუმეგობრდა კაიზერ ვილჰელმის უხეშ მებრძოლებს, შეიქნა მოკავშირე მუშების და გლეხების სისხლისმსმელ შავ გენერლების, ალექსეევის, დენიკინის, ვრანგელის და სხვებისა? აი სადაა ჟორდანია-რამიშვილ წერეთლების საშინელი დანაშაული.

ასე ბოროტათ, ასე უსინიდისოთ გამოიყენეს იმათ რევოლიუციონერ-მუშების და გლეხების ნდობა. მაგრამ როგორც ამბობს ქართული ანდაზა, ტყუილს მოკლე ფეხები აქვს; და აი ახლა უკვე გამომჟღავნდა მენშევიკურ ლიდერების უსინიდისო ტყუილი ბოლშევიკების და საბჭოების შესახებ. თითოეული ქართველი მენშევიკი—მუშა და გლეხი სამაგიეროს გადუხდის და უხდის უკვე კიდევაც იმათაც, ვინც ისინი ასე უსინიდისოთ დაატყუილა.

III

მაგრამ ჩვენ გვეტყვიან: მენშევიკების მასსიური გასვლა პარტიიდან და მთელი ის ხმაურობა ამ ამბის გარშემო, რომელიც ბოლშევიკებმა ასტეხეს გაზეთებში, გამოწვეულია ძალდატანებით, ე. ი. ის შედეგია „ჩეკას“ მიერ ნახმარ რეპრესიების მენშევიკური პარტიის წინააღმდეგო.

რეპრესიების უარყოფა, უაზრობა იქნებოდა. საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია იძულებული შეიქნენ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მიემართნათ რეპრესიებისთვის ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც მუშურ-გლეხური მთავრობის დასამხობათ იწყო მუშაობა. ჩვენ სათქმელი მაინც გვაქვს კიდევ ის, რომ თვით მენშევიკებმა პირველათ, ჯერ კიდევ 1917 წლის ნოემბრის თვიდან იწყეს რეპრესიების ხმარება კომუნისტ-ბოლშევიკების წინააღმდეგ. იქიდან მოყოლებული მენშევიკური მთავრობის დაცემამდე საქართველოში მენშევიკები ამ რეპრესიებს სულ უფრო და უფრო აძლიერებდნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ, და საგულისხმიეროა ის გარემოება, რომ მენშევიკები თავის ბატონობის დროს გარდა ბოლშევიკებისა არც ერთ სხვა პარტიის წინააღმდეგ არ ხმარობდენ რეპრესიულ ზომებს, თუმცა ბოლშევიკებს გარდა სხვა პარტიებიც მუშაობდენ მაშინ იმათ წინააღმდეგ. მაგრამ რეპრესიების შიშის ქვეშ ჩვენი პარტიიდან გასვლას ადგილი ან სრულებით არ ქონებია, ან თუ ქონდა ეს იყო ათასში ერთი შემთხვევა, როგორც გამონაკლისი. აქ საჭიროა გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ მენშევიკების დევნას ჩვენი პარტია მაინც არ თვლიდა ერთად ერთ გამოსავალათ.

1921 წლის დასაწყისში, როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება ფაქტი შეიქნა, ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ წინადადებით მიმართა მენშევიკების ყოფილ მთავრობას, რომელიც მაშინ ბათომში იმყოფებოდა და ევროპაში გასაქცევათ ემზადებოდა. ჩვენ წინადადებას ვაძლევდით შეეწყვიტათ ყოვლად უმიზნო სისხლის ღვრა შემდეგში და გამოგვემუშავებია პირობები საბჭოთა ხელისუფლების ნიადაგზე მშვიდობიანი მუშაობისა. ნ. ჟორდანიამ ამ წინადადებაზე თანხმობა განაცხადა და ორივე მხრიდან დანიშნულ იქნენ წარმომადგენელები საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელის თავმჯდომარეობით ამ პირობების გამოსამუშავებლათ. ეს წარმომადგენელები შეიკრიბენ ქ. ქუთაისში და ხელიც კი მოაწერეს შეთანხმების თქმას; მაგრამ ამ დროს მენშევიკების ყოფილი მთავრობა ნ. ჟორდანიას მეთაურობით საზღვარ გარეთ გაიქცა და თან გაიტაცეს დიდძალი სიმდიდრე, რომელიც საქართველოს მშრომელ ხალხს ეკუთვნოდა. ამნაირათ, მენშევიკებმა პირი გასტეხეს და დადებული პირობა დაარღვიეს. მაგრამ პირველ ხანებში საბჭოთა ხელისუფლება კიდევ არ ფიქრობდა რეპრესიების დაწყებას მენშევიკების წინააღმდეგ; ჩვენ ვფიქრობდით, რომ მენშევიკების პარტია შექმნილ მდგომარეობას შეურიგდებოდა და არ დაიწყებდა მუშურ-გლეხური ხელისუფლების წინააღმდეგ არალეგალურ, იატაკ-ქვეშ მუშაობას და შეთქმულების მოწყობას. ეს, სხვათა შორის, მტკიცდება იქიდანაც, რომ მენშევიკების ტფილისის ორგანიზაციას ჩვენ ნება დავრთეთ საერთო პარტიული თათბირი გაემართათ ლეგალური მუშაობის საწარმოებლათ საბჭოების ნიადაგზე იმ პირობით კი, რომ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ არ ემუშავნათ. მაგრამ თათბირის ხელმძღვანელებმა, რომლებშიაც იყვენ სხვათა შორის ის. რამიშვილი და ლორთქიფანიძე, კითხვა სულ სხვანაირათ დააყენეს, ისე, რომ მშვიდობიანი მუშაობა შეუძლებელი გახადეს; ამათ აშკარათ განაცხადეს, რომ საბჭოთა ხელისუფლებას ისინი არ ცნობენ და ურიგდებიან მხოლოდ დროებით, სანამ ძალას მოიპოვებენ იმის დასამხობათ. ჩქარა გამოაშკარავდა, რომ მენშევიკები აწყობენ არალეგალურ მუშაობას და მართავენ საიდუმლო კავშირს გაქცეულ ბელადებთან. აშკარა იყო, თუ რისთვის ხდებოდა ეს. ხალხში სხვადასხვა საზიზღარ პროვოკაციას და აგიტაციას ქონდა ადგილი.

თავისთავად იგულისხმება, რომ საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები და თვით კომუნისტური პარტია, რომელიც ამ ხელისუფლების ხელმძღვანელია, ყველა ამას უყურადღებოთ ვერ დატოვებდა. აშკარაა, რომ მენშევიკების წინააღმდეგ რეპრესიული ზომები უნდა ყოფილიყო მიღებული. უნდა ვთქვათ აშკარათ, რომ პირველ ხანებში ეს რეპრესიები არ იყვენ მაინც დ მაინც სასტიკი დ მძაფრი. მაგრამ მენშევიკებმა სულ უფრო დ უფრო შესტოპეს ზევით თავის არალეგალურ მუშაობაში; თავის ირგვლივ იმათ შემოიკრიბეს ყველა ის ელემენტები (ყოფილი თავად აზნაურები, სპეკულიანტ-ვაჭრები, უმაღლესი სამღვდელოება, ძველი მოხელეები და სხვა.), რომლებიც უკმაყოფილოები შეიქნენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით საქართველოში; იმავე დროს მენშევიკების ცეკამ კავშირი გააბა ყაჩაღთა (ბანდიტთა) ბრბოებთან (ჩოლოყაშვილი და სხვა.) წარმოადგინეთ, იმათი თავხედობა იქამდისაც კი მივიდა, რომ სცადეს წითელ არმიაშიაც შეეტანათ დემორალიზაცია და არევ-დარევა. თავის თავათ იგულისხმება, რომ ყველა ამ გარემოებამ ბუნებრივათ გამოიწვია რეპრესიების გაძლიერებაც.

დიახ, არ უარვყოფთ, რომ რეპრესიებს მენშევიკების და საერთოთ ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მუშაობას ეწევა, ჩვენ ვხმარობთ და არ შეგვიძლია არ ვიხმაროთ, რამდენათაც ჩვენ მოწოდებული ვართ მუშურ გლეხური ხელისუფლება დავიცვათ.

მაგრამ ჩვენ ვაყენებთ ასეთ საკითხს: შესაძლებელია თუ არა, რომ რეპრესიებმა, რაზომ სასტიკი არ უნდა იყვენ ისინი, მოსპონ, გააუქმონ რომელიმე მასსიური პოლიტიკური მებრძოლი პარტია? ჩვენ ეს დაუშვებლათ და შეუძლებლათ მიგვაჩნია. ყოველ შემთხვევაში ისტორიამ ჯერ არ იცის ისეთი მაგალითი, რომ მასსიური პოლიტიკური პარტიის გაქრობა შესძლებიყოს რომელისამე მთავრობას რეპრესიების საშუალებით, ან ძალდატანებით, პარტიული მასსა აეძულებინოს პარტიიდან გასულიყო, და მერე ეს პარტია დაეგმო. ისტორიამ ასეთი მაგალითი არ იცის. მართალია, ჩვენ გვაქვს ორი მაგალითი რუსეთის ისტორიაში, როცა პოლიციულ-თვითმმართველმა მთავრობამ მოსპო და გაანადგურა რევოლიუციური ორგანიზაცია. მე ვამბობ **დეკაბრისტებზე** და „**ნაროდოვოლცებზე**“. მაგრამ რანაირი მაგარი არ უნდა ყოფილიყვენ ეს ორგანიზაციები, ისინი წარმოადგენდენ მხოლოდ ვიწრო ჯგუფს გაბედულ და თავგანწირულ რევოლიუციონერებისას, რომელთაც გარეშე თავისი ვიწრო ორგანიზაციისა, ჰყავდათ მხოლოდ თანამგრძნობნი, რომლებიც იმათ ორგანიზაციის გარეთ იდგენ. ამიტომ საკმარისი იყო ამ მცირე ჯგუფების შეპყრობა და იმათი იზოლიაცია, რომ მით მთელი ორგანიზაცია მოსპობილიყო. და ეს იმიტომ, რომ არც „ნაროდოვოლცები“ და მით უფრო არც დეკაბრისტები არავითარ პოლიტიკურ მასსიურ პარტიას არ წარმოადგენს. სულ სხვა იყო საქართველოს მენშევიკური პარტია.

მე არ მაქვს სწორი ცნობა ამ პარტიის წევრების რაოდენობისა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინ ჩვენში; ყოველ შემთხვევაში მენშევიკურ პარტიაში შედიოდა 20-30.000 წევრი. ვთქვათ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ნახევარმა თავის თავათ გასწყვიტა ყოველივე კავშირი პარტიასთან. მაშასადამე, გამოდის, რომ 10—15.000 აქტიური წევრი ჰყავდა მაინც ამ უკანასკნელ დრომდე მენშევიკურ პარტიას ჩვენში. ეს მთელი არმიაა. განა შეიძლება ასეთი არმიის, ასეთი პოლიტიკური ორგანიზაციის რეპრესიების საშუალებით მოსპობა? ამის მტკიცება სისულელე იქნებოდა. მაშ, ეს თუ ასეა, იმ შემთხვევაში, რით აიხსნება ის ამბავი, რაც დღეს საქართველოს მენშევიკურ პარტიაში ხდება? ნუ თუ მთელი ეს ამოდენა მასსა მშიშარა ან „შკურნიკი“ და კარიერისტი გახდა? მართალია, ასეთი უვარგისი, გაფუჭებული და საზიზღარი ელემენტები ყოველგან და ყველა პარტიაში მოიპოვებიან; რა გასაკვირალია, თუ ასეთი ელემენტები ერიენ მენშევიკურ პარტიაშიაც. მაგრამ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ ის ასი და ათასი მენშევიკი მუშები და გლეხები, რომლებიც ასე აშკარათ და ასე გაბედულათ სტოვებენ მენშევიკურ პარტიას, ყველა ესენი მშიშრები, „შკურნიკები“ და კარიერისტები იყვენ. არა, ამას ჩვენ ვერ დავუშვებთ. ჩვენ ვიცით ჩვენი მოწინააღმდეგეების და ჩვენი მტრების დაფასებაც.

ამიტომ ჩვენ კიდევ ვკითხულობთ: რით აიხსნება მენშევიკური პარტიის დაშლა-დარღვევა, იქიდან მასსიური გასვლა წევრებისა? რა თქმა უნდა, აქ მხედველობაში არ ვღებულობთ უვარგის ელემენტებს, რომლებიც ყველა პარტიაში მეტ ბარგს წარმოადგენენ. საჭიროა ყოველ შემთხვევაში ამ მოვლენის ზოგიერთ მთავარ მიზეზების დასახელება.

ფ. მახარაძე.

(დასასრული იქნება)

მუშათა ცხოვრება

აგარაკი ახტალა

(წერილი პროვინციიდან)

აგარაკი ახტალა მდებარეობს სადგურ გურჯაანიდან ნახევარ ვერსით მოშორებულ მაღლობზე. ამ მაღლობიდან გადახედვის დროს სასიამოვნოდ იშლება წინ ალაზნის თვალწარმტაცი მინდვრები, რომლებსაც გარს შემორტყმიან ტყით შემოსილი მთები და ამაყად დასცქერიან ბაღ-ვენახებით შემკობილს და ყანებით მოქარგულ მინდვრებს. ადგილ-ადგილ, ბაღ-ვენახთა შორის, თეთრად ბზინავენ ხორბლით უხვად დატვირთული ყანები.

ახტალას მახლობლად, მაღლობზედ არის სოფელი კოდეხი, რომელიც მეზობლური სიამოვნებით გადმოსცქერის ახტალის საგარაკო ბარაკებს. აი აქ, ამისთანა ლამაზ ბუნების წიაღში ისვენებს შრომით დაქანცული მუშა-მოსამსახურე და ჩამოსული აქ, იმედით აღსავსე მუშა-ავადმყოფი. სამწუხაროდ, აგარაკ ახტალას ნაკლიც აქვს. საგარაკო ბარაკებში მოწყობილია სულ 25 ოთახი. 5 ოთახის სახურავი დღესაც შეუკეთებელია და წვიმის დროს აქ წყალი თავისუფლად ჩამოდის. ახალ „ბრეზენტ“-ტილოებით გადაკრულ ოთახებიდან (25 ოთახიდან) 9-ში წვიმა ჩამოდის, 16 ოთახი კარგად მოწყობილია.

ზემოხსენებულ ოთახებში მოთავსებულია 75 ავადმყოფი მუშა მოსამსახურე, აქედან 50 ქალია, 25 მამაკაცი. არიან აგრეთვე კერძო პირებიც. ყოველდღიურად ტალახის ცხელ აბანოებით მოსარგებლეთა რიცხვი აღწევს 180 კაცს; 100 კაცი ღებულობს ცივ აბანოებს, სულ 280 სულია ცხელ და ცივ აბანოების მიმღებნი, ამათგან უმრავლესობას შეადგენს სოფელ კოდეხის მცხოვრებლები.

ახტალაში არ მოდის არც ერთი გაზეთი; არ არსებობს არავითარი ბიბლიოთეკა-სამკითხველო. რაც შეეხება სადგურის სამკითხველოს, მითი სარგებლობა შეუძლებელია, რადგანაც ადგილობრივი 200 მუშა სარგებლობს სამი ცალი გაზეთით, მეტი აქაც არ მოიპოვება.

ამას გარდა აღნიშნული სამკითხველო იღება მაშინ, როდესაც ავადმყოფები ბანაობენ ან რიგში დგანან ნომრის მისაღებად. თუგინდ მათ დროც ჰქონდეთ, ავადმყოფები მაინც ვერ შესძლებენ ამ სიშორეზე სიარულს, რადგანაც მეტი წილი ავადმყოფთა დასნეულებულია მუხლების ტკივილით. კარგი იქნებოდა, რომ რომელიმე სამკითხველო შესძლებდეს და გამოგზავნიდეს კვირაში სამჯერ მაინც გაზეთებს; გარდა ამისა საჭიროა მიექცეს მეტი ყურადღება მძიმე ავადმყოფ მუშა-მოსამსახურეთ, რომელთაც ჯამაგირად მიღებული ორიოდე გროში არც კი ყოფნით მათ აბანოდან ბარაკამდე გადასაყვან ხარჯების დასაფარავად.

მაქვს სრული იმედი, რომ ყველა აღნიშნული დეფექტები ახლო მომავალში იქნება გამოსწორებული და ახტალა ნამდვილად შეიქნება მუშათა დასასვენებელ და სამკურნალო ადგილად.

მუშკორი პ. ბალიაშვილი.

მეორე რაიონის კინოს „ელექტრო სადგური“

ეს სადგური ეკუთვნის პროფკავშირთა საბჭოს. აღნიშნული სადგური ანათებს „კინო პალას“-ს, კინო „პალას“ დღეს უპირველესი ადგილი უჭირავს შემოსავლის მხრით ხელოვანთა კავშირის სხვა დაწესებულებებთან შედარებით. კვირა საღამოს, 22 ივლისს სულ უბრალო სურათი მიდიოდა და ხუთას მილიონ მანეთის ბილეთი იქნა გაყიდული. ეს „კინო-პალასიც“ პროფკავშირთა საბჭოს ეკუთვნის. აი ამ კინოს ელექტრონის სადგურში ორი დინამოა. ერთი დინამო მუშაობს და ანათებს კინოს, მეორე კი მთლად გაჩერებულია. ამიტომ მუშათა ცენტრალური კლუბი აქედან ვერ სარგებლობს სინათლით და ადამოვის სადგურიდან ღებულობს ელექტრონის ენერგიას.

რატომ არ კეთდება მეორე დინამო, ან რატომ არ კეთდება ამ პატარა სადგურის სახურავი?! მცირე წვიმის დროსაც აქ წყალი ჩამოდის რამოდენიმე ადგილას და ეს აზიანებს როგორც დინამოს, რომელიც შეიძლება წვიმის წვეთებმა დასწვას კიდეც, აგრეთვე თასმებს, რომელიც წებოთი არის მიწებებული და წყლის დროს შეიძლება მოსცილდეს და მანქანა გაჩერდეს. საჭიროა ამ ელექტრონის სადგურისთვის ყურადღების მიქცევა, რადგან მისი მუშაობისგან დამოკიდებულია დიდძალ მუშების ბედ-იღბალი. სადგურის შეკეთება ამ ჟამად აუცილებელია.

მუშკორი გიორგი ჩარხიშვილი.

ხელოვნების კავშირი წარმატებით მუშაობს

(ხელოვნების დღის ჩატარების გამო).

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ჩვენ არც გვსმენია და არც ველოდით „ხელოვნების დღეს“. მაგრამ, როდესაც საქართველოში დამყარდა მუშათა და გლეხთა ხელისუფლება, ჩვენთვის უკვე შესაძლებელი ხდება ის, რასაც ჩვენ უწინ არც კი ვფიქრობდით: ხელოვნების კავშირმა მიმდინარე წლის 23 ივლისს ფართედ მოაწყო „ხელოვნების დღე“. ამ დღეს ჩვენი კავშირის (ხელოვნების) წევრებმა აამოძრავეს ქ. თბილისის ყველა თეატრები და მუშათა კლუბები. ჩვენმა კავშირმა ეს დღე ზედმიწევნით კარგად ჩაატარა. ამ დღეს ვერ იდგნენ თავის სამაღლეზე და ვერ გამოიჩინეს ვერავითარი შრომა მხოლოდ საზამთრო თეატრებმა და საზაფხულო მუშათა კლუბმა, რაც მეტად სამწუხაროა. არავითარი დახმარება და შრომა ხსენებულ დღის მოწყობა-ჩატარებისათვის მათ არ დაუხარჯავთ. რა მიზეზია არ ვიცი.

მიუხედავად ამისა ხელოვნების დღე ჩვენ მაინც კარგად ჩავატარეთ, საერთოდ შემოსავალიც კარგად შემოვიდა; იმედი მაქვს, რომ ამ ახლოხანებში გავაცნობ შემოსავლის ჯამს ამხ. მუშებს.

მუშკორი გ. მ-შვილი.

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს

კითხვა. რა პასუხისმგებლობა ედება დამქირავებელს, როდესაც უკანასკნელის მოთხოვნილების თანახმად მას სამუშაოზე შრომის ბირჟა უგზავნის მშრომელს და ის კი უარს აცხადებს მის მიღებაზე არა საპატიო მიზეზებით?

პასუხი. თუ კი დამქირავებელი უარს აცხადებს მისი მოთხოვნით შრომის ბირჟიდან მასთან გამოგზავნილ მშრომელის მიღებაზე, მაშინ ის ვალდებულია მისცეს მშრომელს ჯილდო დაკარგულ დროისათვის. ჯილდოს რაოდენობა წესდება ამ ადგილზე არსებულ სატარიფო ცანაკვეთის სათანადო კატეგორიის მიხედვით. იმ შემთხვევაში, როდესაც მშრომელი იგზავნება ქალაქ-გარეთ, მაშინ გარდა ზ. მო აღნიშნულ ჯილდოსი, დამქირავებელი ვალდებულია მისცეს მას სამგზავრო ღირებულება გამოგზავნის ადგილიდან დანიშნულ ადგილამდე და უკან, თუ მშრომელი მოითხოვს უკან დაბრუნებას, და მისცეს მას დღიური საერთო წესით.

კითხვა. უფლება აქვს თუ არა დამქირავებელმა დაარღვიოს მშრომელთა შრომის ხელშეკრულება, როდესაც მშრომელის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის ძიება?

პასუხი. შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხ. ძალით მშრომელთა შორის ხელშეკრულების დარღვევის უფლება აქვს დამქირავებელს იმ შემთხვევაში, როდესაც დაქირავებულის მიერ თავის სამუშაოსთან უშუალოდ დაკავშირებით ჩადენილია სისხლის სამართლის ქმედობა და ეს დამტკიცებულია ძალაში შესულ სასამართლოს განაჩენით. მშრომელის წინააღმდეგ მარტო სისხლის სამართლის ქმედობის აღძრა, სანამ მისი ბრალდება დამტკიცებული იქნებოდეს სასამართლოს წესით, არ ჩაითვლება საკმაო საბაბად დამქირავებლის მიერ პირადი დაქირავების ხელშეკრულების დარღვევისათვის.

კითხვა. როგორ უნდა მოიქცეს ადგილობრივი კომიტეტი იმ შემთხვევაში, როდესაც მის მიერ აღმოჩენილია სამსახურზე შრომის ბირჟის გარეშე მიღების შემთხვევა?

პასუხი. იმ შემთხვევაში, როდესაც უწყებულ დაწესებულების, ან წარმოების ადგილობრივი კომიტეტი აღმოაჩენს შრომის ბირჟის გარეშე სამსახურში მიღების შემთხვევას, ვალდებულია ამის შესახებ აცნობის შრომის ბირჟას, შრომის ბირჟის გარეშე სამსახურზე მიმიღებთა პასუხისგებაში მიცემისა და მიღებულის ნაცვლად უმუშევარით შეცვლისათვის.

სახელდების ფსიქოლოგიური საფუძვლები“—დ. უზნაძის, 12) „ალ. ცაგარელი, როგორც ენათმეცნიერი“—ა. შანიძისა, 13) „ვაის რეფლექსიები ფერეიდანულში“—ბ. ჩიქობავასი, 14) „ჰაე-ბიეტოგა ადიშის სახარებაში“—ა. შანიძის. მზადდება წასაკითხათ ახალი მოხსენებების მთელი სერია.

წითელ ქარში

მცხეთაში.

ა. წ. 29 ივლისს დივიზიის სკოლის წითელ-არმიელთა და პოლიტიკურ კურსების მსმენელებთან ერთად ამხ. თათარაშვილის ხელმძღვანელობით, სასკოლო განყოფილების უფროსის ამხ. ნადირაძის და ამავე განყოფილების ინსტრუქტორის ამხ. მერაბიშვილის თანხლებით, მოეწყო გეოლოგიური ექსკურსია მცხეთაში. ექსკურსია მცხეთაში გაემგზავრა შაბათს საღამოს. მისვლისას, რადგანაც უკვე გვიან იყო, ექსკურსია წავიდა მცხეთის ტაძრის დასათვალიერებლათ. წითელ-არმიელები აღტაცებაში მოიყვანა ეკლესიის სიდიდემ და მისმა მშვენიერმა არქიტექტურამ. შიგ შესვლისას ადგილობრივ მღვდელს საშუალება მოეცა ერთხელ კიდევ გაეწია თავისი უნიადაგო პროპაგანდა, რაზედაც წითელ-არმიელები სიცილით უპასუხებდნენ, ტაძრის დათვალიერების შემდეგ წამოვედით ბინაზე. გზაში ამხ. ნადირაძემ გასაგებ ენაზე უამბო წითელ არმიელებს რელიგიის წარმოშობა, მისი თანდათანობითი განვითარება და ის, თუ ვის ემსახურებოდა სარწმუნოება. წითელ-არმიელები ამ საუბარით ძალიან კმაყოფილნი დარჩნენ და იძახდნენ. „ძირს ღმერთები და მატყუარა სამღვდელოებაო“.

კვირას დილის ხუთ საათზე გავემგზავრეთ მცხეთის მიდამოების დასათვალიერებლად. მიმართულება ავიღეთ არმაზის მთისაკენ. ხელმძღვანელი ამხ. თათარიშვილი ყოველ ღირსშესანიშნავ ადგილზე შეაჩერებდა წითელ-არმიელებს, უხსნიდა მათ ჟამთა მსვლელობაში ბუნების მოვლენების გავლენას დედა-მიწის სახის ცვალებადობაზე. წითელ-არმიელები ძალიან დააინტერესა ამ საუბარმა და გულმოდგინეთ უსმენდენ მას. არმაზზე ასვლისას ხელმძღვანელმა აუხსნა მათ არმაზის მნიშვნელობა ძველ დროში. იქიდან ექსკურსია გაემგზავრა ძეგვის ხიდისაკენ ვულკანიური ტურფოების დასათვალიერებლათ. დაღლილები მივედით სადგურ ქსანკაში, საიდანაც, უკვე მატარებლით, წამოვედით თბილისში,

წითელ-არმიელები ძალიან კმაყოფილი დარჩნენ ამ ექსკურსიით და მთელ თბილისამდი თავისი შთაბეჭდილებებს უზიარებდენ ერთი მეორეს.

ხშირი შეკითხვები იყო სასკოლო უფროსისადმი; იმ კვირას წავალთ თუ არაო და ეხვეწებოდენ უეჭველათ სადმე ექსკურსიაზე წავიდეთო. ექსკურსიამ გამოიღო ძალიან კარგი ნაყოფი და კარგია კიდევ ბევრი მოეწყობოდეს ასეთები.

ნაგრი.

ქრონიკა

ქალაქის აღმასკომში

— **უპატრონო სახლები.** ის სახლები, რომლებსაც პატრონები არა ჰყავთ, აღმასკომის კომუნალურ განყოფილების დადგენილებით გადაეცემიან იჯარით საბინაო ამხანაგობებს, მდგმურების კოლექტივებს და უკანასკნელ შემთხვევაში კერძო პირებს.

— **ხორცის გადმოსატან ვაგონების აშენება.** აღმასკომის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა თბილისის ტრამვაის დირექციას დააჩქაროს ხორცის გადმოსაზიდი ვაგონის (რონოდის) აშენება.

— **დანიშვნა.** საიჯარო-საექსპლოატაციო ქვე-განყოფილების გამგედ დროებით დაინიშნა ამხ. ჯაფარიძე.

მიწად-მოქმედების კომისარიატში.

— **რეორგანიზაცია.** მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა მოახდინოს რეორგანიზაცია შინა-მრეწველობის განყოფილების, მისი უმოქმედობის გამო.

შრომის ბირჟა

— **უმუშევრების მოთხოვნა გროზნოდან.** შრომის ბირჟამ მიიღო მოთხოვნილება გროზნოდან ადგილობრივ ნავთის წარმოების აღსადგენათ მუშების გაგზავნის შესახებ. სულ საჭიროა 150 კალატოზი, მალიარი და სხვ. აღმშენებლობითი საქმის მუშები.

რკინის გზაზე.

— **ხე-ტყის მოზიდვა.** ამ დღეებში დაიწყება ტყიბულიდან ხე-ტყის მოზიდვა თბილისში. ჯერ-ჯერობით დამზადებულია 40 ვაგონი.

— **ლიანდაგიდან ვაგონების გადავარდნა.** აჯამეთ-სვირის შუა სამი ვაგონი დატვირთული ხე-ტყით გადასცდა ლიანდაგს. გზა აღდგენილ იქნა 6 საათის განმავლობაში.

— **არტელის დაარსება.** რკინისგზელთა უმუშევართა სექციასთან შესდგა უმუშევარ 16 კაცისაგან არტელი, რომლებიც უკვე გაიგზავნენ შულავერში.

— **საჭიროა მეისრეები** რკინისგზელთა უმუშევართა სექცია იწვევს უმუშევარ მეისრეებს 15 კაცამდის სამუშაოზე გასაგზავნათ. ვინც არ გამოცხადდება, მოხსნილი იქნება აღრიცხვიდან.

— **საპაიო მანეთის კურსი.** რკინის გზის კოოპერატიულ ამხანაგობამ („ზაკტპომ“) მიმდინარე კვირისათვის საპაიო მანეთის კურსი განსაზღვრა 3155 მან. ა. | ქ. ბონებით.

სხვა და სხვა.

— **დახმარება სამოქალაქო ომში დაშავებულთ.** კავკასიის ცალკე არმიის ლატარიის შემოსავლიდან საქართველოს ინვალიდების დასახმარებლად გაღებულ იქნა 490,000,000 მან.

— **ბავშვების ავადმყოფობა სვანეთში** სვანეთიდან იტყობინებიან, რომ იქ ბავშვების 80 პროც დაავადმყოფებულია. დამშეულთა დამხმარე კომიტეტმა გადასდო აღნიშნულ ბავშვების საქმიოთ და გამოსაკვებათ 4 მილიარდ ნახევარი მან.

— **მამა-დავითის მთის გაშენება ტყით.** უკვე შესყიდული იქნა საჭირო რაოდენობის თესლეულობა და ნერგები მთა-წმინდაზე ტყის გასაშენებლათ.

ხელოვნება

სახელმწიფო აკადემიურ სიმფონიურ ორკესტრის 2-რე სიმფონიური კრება.

პროფკავშირების კლუბის შენობებში შესდგა 2-რე სიმფონიური კრება, რომელიც მიძღვნილი იყო გერმანელ კლასების (მოცარტი, ჰაიდენი, ჰენდელი) ნაწარმოებებისათვის. ვეხებით რა ობიექტიურად კონცერტის პროგრამის სიმფონიურ ორკესტრის მიერ შესრულებას, არ შეიძლება არ აღინიშნოს მეტად ზერელე მოპყრობა ამ შესრულებისადმი. სჩანდა რეპეტიციების უქონლობა, ზოგჯერ ნაწარმოებების ხასიათის სწორად ვერ გაგება, საერთოდ კი თვალსაჩინო იყო უყურადღებობა, რაც მეტათ გაუგებარია, რადგან ორკესტრის შემადგენლობაც ძლიერია და მოქ. ბრონიც მგრძნობიარე მუსიკოსია, რომელსაც შეუძლია მუსიკალურ ნაწარმოების შინაარსის შეგრძნობა. შესრულებათა დაუმთავრებლობის მიზეზი უნდა ვეძიოთ რეპეტიციების საკმაო რიცხვის უქონლობაში – რაც ყოვლად დაუშვებელია. სიმფონიურ კონცერტებს გარდა მხატვრული მიზნისა უნდა ჰქონდეს კიდევ აღმზრდელობითი მნიშვნელობა და, მაშასადამე, პროგრამის შესრულებაც თავის სიმაღლეზე უნდა იყოს.

კონცერტის მთელი 1-ლი განყოფილება დათმობილი ჰქონდა მოცარტის სიმფონია S-moll-ს. ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, რომ მოცარტს თავისი სტილი აქვს, რომელიც არც ერთ სხვა კომპოზიტორის ნაწარმოებში არა სჩანს. მოცარტის მუსიკას გენიალური უბრალოება ახასიათებს, მისი თემები მელოდიურია, ჰარმონია, ნათელი ორკესტროვკა და ინსტრუმენტოვკა ლამაზია. მოცარტის მუსიკა დეტალებშიაც კი შეეფერება კლასიურ ფორმებს—და ყოველგვარი ეს აღნიშნული უნდა იყოს შესრულების დროს.

სიმფონია S—moll-ი ერთი უდიდესი ნაწარმოებია გენიალურ კომპოზიტორის; ის დაწერილია 1776 წელს. სიმფონიას აქამდის სიახლე ახასიათებს, ის შეუსუსტებელი ყურადღებით მოსასმენია თავიდან ბოლომდი. მაგრამ საჭიროა, რომ შესრულებაც რამოდენიმეთ მაინც შეეფერებოდეს მოცარტის მხატვრულ დედა-აზრს. პირველი ნაწილი შესრულებული იყო მკრთალი მელოდიური სურათით, სტილის დაუცველათ. სიმფონიის დიდებული მენუეტი მოითხოვს უკეთეს რიტმს და ხმოვანობის თანაბარ განაწილებას. ფინალშიც აგრეთვე საჭიროა უკეთესი რიტმი და დამთავრებული ფრაზიროვკა და ნიუანსიროვკა.

უკეთესად იყო შესრულებული ჰაიდენის სიმფონია. მაგრამ საკვირველია როგორ უშვებს მოქ. ბრონი სიმფონიის მარტო პირველი ნაწილის შესრულებას კონცერტზე, რომლის პროგრამა წმინდა სიმფონიურ ნაწარმოებებიდან შესდგებოდა. ეს დაუშვებელია.

ჰაიდელის Largo სავსეა გენიალური შთაგონებით, მასში ორი თემაა, მაგრამ ორივე ერთმანეთზეა გადახლართული და შეადგენენ ერთ მთლიანს. თვით სახელწოდება Largo ამბობს, რომ პოემა სავსეა ინტუაციით.

საჭიროა მელოდიის გამოყოფა, თავიდან ბოლომდი უნდა ისმოდეს სიმღერა, განსაკუთრებით როცა მელოდია solo ფორტეპიანოს აკომპანიმენტით ვითარდება მთელს ორკესტრში უნდა შესრულდეს სულ legato. ეს largo დაწერილი აქვს ჰენდელს ორგანოსთვის.

არ შეიძლება ვიცნოთ დამთავრებულათ მოცარტის ცნობილი უვერტიურა „ფიგაროს ქორწილი“-ს შესრულება. მუსიკა გამოხატავს მეტად ხელოვნურ სიცილს. ამიტომ მელოდიური სურათი უნდა იყოს კრისტალიურათ წმინდა—საჭიროა უკეთესი რიტმი.

სოლისტათ გამოვიდა დემიანენკო, რომელმაც შეასრულა ლეპორელოს არია მოცარტის ოპერა „დონ-ჟუანი“-დან. ეს არია მართლაც გენიალურია, ეს არის ნიმუში მუსიკალური ირონიის, თითქმის სარკაზმის. დემიანენკო ნიჭიერი არტისტია (basso—buffo), მაგრამ საინტერესოა ამა თუ იმ ოპერაში, სადაც ის იძლევა თავის ამპლუას დამთავრებულ სახეს. მაგრამ დემიანენკო საინტერესო არ არის როგორც კონცერტში მონაწილე. მისი ხმა ვერ არის დამაკმაყოფილებელი და მარტო ტეხნიკით არაფერი არ გამოვა.

მუსიკოსი.

— **საბავშვო ოპერა „ოქროს თავთავი“.** ახალგაზრდა კომპოზიტორმა გიორგი სვანიძემ დასწერა საბავშვო ოპერა „ოქროს თავთავი“, რომლის წარმოდგენა განზრახულია მომავალ სეზონში.

— **ახალი წიგნი.** ახლო ხანში გამოვა პოეტ იასამანის ლექსების მეორე ტომი. წიგნში შეტანილი იქნება მეტი წილი დაუბეჭდავი ლექსებისა.

— **რომანი.** ია ეკალაძემ დაამთავრა ახალი რომანი ქართველ ინტელიგენციის ცხოვრებიდან „ცხოვრების ტალღებში“.

გიორგი ქუჩიშვილის სალამო. 15 აგვისტოს ხელოსანთა კლუბში გაიმართება გიორგი ქუჩიშვილის პოეზიის დიდი სალამო. სალამოზე მონაწილეობას მიიღებენ პოეტები, მუსიკოსები, მსახიობები და სხ.

— **კინო-წარმოების ტრესტი.** ამ მოკლე ხანში განათლების კომისარიატთან დაარსდება კინო-წარმოების ტრესტი.

— **გაზ. „რუბიკონი“.** გამოვიდა ახალი მწერლობის კავშირი გაზეთის მორიგი ნომერი „რუბიკონი“.

— **სალამოს გადადება.** სალამო, რომელიც უნდა გამართულიყო 4 აგვისტოს „ახალ წრეში“ მილიციის სასარგებლოთ, გადაიდო 11 აგვისტოსათვის.

სტიპენდიების განაწილება*)

მუშურ გლეხური მთავრობა ცდილობს გამოიყვანოს მშრომელი მასები სიბნელიდან, მიანდოს მათ სწავლა-განათლება, ვინაიდან ცოდნა, განათლება, ის მთავარი და ბასრი იარაღია, რომლითაც ადამიანი უფრო ადვილად, შეგნებულად და სწრაფათ გაიკაფავს ცხოვრების გზას.

ჩვენმა მთავრობამ დააარსა მრავალი კულტურულ განმანათლებელი დაწესებულებანი, როგორიც არის ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, აწყობს ლექციებს და საუბრებს, წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლებს, მუშათა ფაკულტეტებს, შემოიღო სტიპენდიები ღარიბი ხალხის შვილებისათვის და სხ.

მაგრამ, სამწუხაროთ, ამ სტიპენდიების განაწილება ვერ ხდება სასურველათ.

მე ვიცი და თუ საჭირო იქნება პირადათაც დავასახელებ, რომ სტიპენდიებს ღებულობს ექიმის, ვაჭრის და შეძლებული გლეხის შვილები, რომელთა მშობლებს თითონ შეუძლიანთ თავიანთი შვილების გამოზრდა; აგრეთვე ისეთებიც, რომელთაც არაფერი სწამთ მშრომელი ხალხის ინტერესების და თუ დრო დაუდგათ, მის წინააღმდეგ მიმართავენ მისი საშუალებით მიღებულ ცოდნას.

ამავე დროს მრავალია ღარიბი გლეხის და მუშის შვილები, რომელნიც დიდი ნიჭით დაჯილდოებულნიც არიან, სწავლის დიდი სურვილიც აქვთ და მართლაც რომ გამოადგებიან მშრომელ მასსებს.

და ისინი კი მოკლებული არიან ამ დახმარებას, და სკოლის გარეშე რჩებიან.

ეს კი პირდაპირ დანაშაულობაა. სტიპენდიების განაწილების დროს უნდა ეკითხებოდენ ხალხის ორგანიზაციებს: აღმასკომებს, საბჭოებს, რომელნიც ხალხთან უფრო ახლოს არიან და იციან ვინ არის ღირსი დახმარების და ვინ არა.

დარწმუნებული ვარ, სახალხო განათლების კომისარიატი სერიოზულ ყურადღებას მიაქცევს ამ დიდ საქმეს და შემდეგში აღარ ექნება ადგილი ასეთ უკუღმართობას.

ამასთანავე უნდა შევნიშნო, რომ საჭიროა გადათვალიერებული იქნას სია სტიპენდიანტთა და იმათ, რომლებმაც უღირსად მიიღეს დახმარება, უნდა მოესპოთ ის და უფრო ღირსეულ პირებს დაენიშნოს.

სიმართლე.

---

*) განათლების კომისარიატისაგან მოვითხოვთ განმარტებას ამ წერილის შინაარსის გამო. ამასთან საჭიროდ მიგვაჩნია სტიპენდიანტების სიის გადასინჯვა, რათა სახელმწიფო დახმარება ეძლეოდეთ მხოლოდ მშრომელ და საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგულ ელემენტებს.

რედ.

პროვინციაში

დაბა ახალქალაქი (გორის მაზრა).

დ. ახალქალაქი თავის მდებარეობით და ბუნებრივ პირობებით საგარაკო ადგილად ითვლება—სალი ჰაერი, საუკეთესო თვისების მთის წყაროები, მახლობელი ტყე... და თვით სოფელიც თითქოს ერთ მთლიან ბაღს წარმოადგენენ.

მაგრამ რამდენადაც ბუნებას დაუჯილდოებია ეს კუთხე—იმდენად ეტყობა, ადგილობრივი მცხოვრებლები ცდილობენ მის გაპარტახებას...

ამ ცოტა ხანში მე მომიხდა იქ ყოფნა. სადგურ გრაკლიდან სოფლამდე ერთ დროს საუკეთესო გზატკეცილი დღეს უყურადღებოდ არის დატოვებული და აოხრებული. სოფლის ქუჩები და ეზოები ეტყობა მხოლოდ „საპრაზდნიკოდ“ იგვება,—მაგრამ ნეტავი მაშინაც არ იგვებოდეს, თუ კი სანაგვედ სოფლის საუკეთესო ნაწილი იქნება გადაქცეული—ეს არის ეგრედწოდებული „ხეველას პირი“, რომელიც ზედ სოფელზე ჩამოდის და ათასნაირ სიბინძურით არის სავსე.

ამ სურათით გულდაწყვეტილმა ვიფიქრე იქვე მახლობლად განთქმულ ას წლოვან კაკლის ხის ქვეშ შესვენება. მაგრამ სიბინძურით იყო ავსებული იქაურობაც. დიდის სიფრთხილით რომ ფეხები არ გამესვარა გამოვიარე ბილიკი და ნაღვლიანი ფიქრებით გატაცებული მოვდიოდი ბაზარზე... რაღაცა არაჩვეულებრივმა ხრიალმა გამომარკვია—შევჩერდი... დარგვალებული, სისხლით და ქონით გასიპული ყასაბი თავის დუქნის წინ ცხვარსა ჰკლავდა. სისხლის ღვარი ქუჩაში დიოდა... ამ „სასიამოვნო“ სურათს ბლომად მოეზიდა მაყურებელი ხალხი, ძაღლების ხროვაც. ერთი მაყურებელთაგანი მილიციონერის ფორმაში იყო გამოწყობილი. სანიტარული წესების დაუცველობა ნიადაგს ამზადებს ყოველგვარ სენთა გასავრცელებლად და საჭიროა დაბა-სოფლებში სანიტარულმა კომისიებმა ყურადღება მიაქციონ ამას იზრუნონ ხალხის ჯანმრთელობის დასაცავად, თუნდა სასტიკი ზომების მიღებაც იყოს საჭირო.

პერევისის თემი (შორაპნის მაზრა).

სოფ. პერევისში არსებობდა უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველო, რომელიც 1921 წლის მეორე ნახევრიდან დაკეტილი იყო დღემდე. ამას მიაქცია ყურადღება პერევისის თემკომმა და გადასწყვიტა რათაც არ უნდა დაჯდომოდა აემუშავებია სამკითხველო. ამ მიზნით ამა წლის 23 ივნისს ამავე სოფელში გაიმართა სალამო თემკომის ინიციატივით.

სალამოს მთელი შემოსავალი უდრიდა ხუთას ცხრა მილიონ მანეთს. აქედან გასავალი იყო: 306,000,000 მანეთი. დარჩა წმინდა შემოსავალი: 203,000,000 მ. ამ ფულიდან ნისიით არის გაცემული, რომელიც ჯერაც არ აკრეფილა ორმოცი მილიონი მანეთი. ნაღდად დარჩა კასაში 163,000,000 მანეთი.

აღნიშნული თანხით დაქირავებულ იქნა სამკითხველოს ახალი გამგე ექვსი თვის ვადით, თვეში ოცი მილიონ მანეთად. ჯამაგირი მას წინდაწინვე მიეცა, დანარჩენი ფული მოხმარდება სამკითხველოს შეკეთებას. სამკითხველო უკვე მუშაობს. ჯერ ჯერობით ის ღარიბია წიგნებით, ჟურნალ-გაზეთებით და მოწყობილობით; საჭიროა მისთვის განსაკუთრებით ახალი გამოცემები, როგორც პოლიტიკური ისე ლიტერატურული შინაარსის. ამის შეძენის საშუალება კი სამკითხველოს არა აქვს და ამიტომ საჭიროა სახელმწიფო დაწესებულებათა და თანამგრძნობ პართა მატერიალური და იდეური დახმარება.

დღემდე მიღებულ შემოწირულებათა გამღებთ ი. ლ. მიქაძეს, „კარუტის“ ფირმას, „კარუტის“ ფირმასთან არსებულ კომუჯრედს და სამკითხველოს ყოფილ გამგეს ვერა დღვიძისას, თემკომი დიდ მადლობას უცხადებს.

ბერ—ლი.

ს. წუნეთი*).

დიდი ხანი არ არის, რაც საკავშირო ასეულის სპეციალური ჯგუფი ამოვედით საბანაკოდ სოფ. წუნეთში. ყველა წითელ ლაშქრელს ეგონა, წუნეთი როგორც თბილისთან დაახლოებული, ყველაფრით მოწყობილი და განათლებული სოფელი იქნებოდა. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროთ, ეს ასე არ გამოდგა. არა მგონია, რომ საქართველოს რომელიმე კუთხეში ბევრი იყოს ასეთი ჩამორჩენილი სოფელი.

შუა სოფელში აშენებულია პატარა სკოლა, რომლის დანახვაზე კაცს გული მოუკვდება. გადიხედავთ შიგ: ორი წლის დაუსუფთავებელი კედლებია ჩამონგრეული; შეხედავთ კიდევ აღმასკომის ბინას: დღე და ღამ დაკეტილია. თუ რამე საქმე გაქვთ, უნდა იცადოთ სამ დღეს და შეიძლება როგორმე გაიღოს. თუ მე მე მკითხავთ, გასწავლით აღმასკომის თავმჯდომარის და მილიციის უფროსის „სამუშაო“ ადგილს: ეს ადგილი გახლავთ რესტორანი, სადაც ეს ყმაწვილები დიდ „მუშაობაში“ არიან.

მათი მუშაობა გამოიხატება შემდეგში: პირველს უჭირავს ხელში ღვინით ბოთლი, მეორეს მწვადი და მესამეს ჩაის სტაქანი. კვირაში სამჯერ „კრებებს“ მართავენ სპეკულიანტებთან ჭიქებით ხელში. სანამ შევეჩვეოდით სოფლელებს, ისინი ჩვენ, წითელ არმიელებს ალმაცერად გვიყურებდნენ, მაგრამ ჩვენი ამხანაგური მოპყრობით ისინი დარწმუნდენ, რომ ჩვენ ვართ მათივე ოჯახებიდან გამოსული გლეხები, მათი ინტერესების დასაცავათ.

წარსულ დღეებში ჩვენი წ. ლ. მიერ იქნა დადგმული სალამო, სადაც ცოტა ნაწილი [illegible] მოვიდა. ამაში [illegible] დახმარება გაგვიწია [illegible] რით, რომელ დუქანშიც შევიდა, თითო ჭიქა ღვინო ყველგან დალია „რეჟიებით“ და დავალებული საქმე კი სულ გადაავიწყდა.

სასურველია ყველა ამას მიექცეს ყურადღება, ვისგანაც ჯერ არს, და იქნეს გამოგზავნილი კარგი მომუშავე პარტ ამხ. ამ საქმის მოსაწყობათ.

ფრონისწყლის პირელი.

---

*) ამ კორესპონდენციაზე ვაქცევთ შ. ს. ს. კომისარიატის ყურადღებას, საქმის გამოსარკვევად და ზომების მისაღებად.

რედ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-4 რაიკომი წინადადებას აძლევს ამხ. ამხ ლევან მირზოიანს, ალექსანდრე აკუნცავს, სარქის ტრდატიანს, ევგენი კერესელიძეს და ალექსი მაისურაძეს. ორი დღის განმავლობაში გამოცხადდენ რაიკომში.

პასუხისმგებელი რედაქტორი ა რ უ ს ტ ა ნ ო ვ ი.

განცხადებები

ჯონ რიდის წიგნის „10 ДНЕЙ, КОТОРЫЕ ПОТРЯСЛИ МИР“
რაოდენობის სიმცირის გამო,
რამაც ხელი შეუშალა მთარგმნელთ თავის დროზე წარმოედგინათ
საკონკურსოდ ამ წიგნის თარგმანი,
„წითელი წიგნის“ გამგეობამ
კონკურსის ვადა ამა წლის
5 აგვისტოს დღის 2 საათამდე გადასდო.
კონკურსის პირობები შეუცვლელად რჩება.
კრ. № 548 1—1 გამგეობა

ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმი
მოქალაქეთა საყურადღებოთ
აცხადებს, რომ კოჯორში
თავისუფალი არის რამდენიმე ოთახი,
რომლებიც შეიძლება გაქირავდეს საზაფხულოდ,
მსურველთ შეუძლია მიმართონ კოჯორის თემის აღმასკომს.
შენიშვნა: აღნიშნული ოთახები განთავისუფლდა ამჟამად, ვინაიდან მათმა დამქირავებლებმა სხვა და სხვა მიზეზებისა გამო კოჯორში წასვლაზე უარი განაცხადეს.

ტფილ. აღმასკომის სამმართველოს
განყოფილება
აცხადებს შეჯიბრებას ტფილისის მილიციის თანამშრომლებისათვის 659 „კომპლექტი“ საზაფხულო ტანისამოსის შეკერვის იჯარით გაცემაზე.

შეჯიბრება დანიშნულია ა. წ. 1 აგვისტოს დღით 12 საათზე სამმართველოს განყოფილების შენობაში (დუმბაძის ქ., ყოფილი ველიამინოვის, № 7, ოთახი 8).

ვისაც სურს მიიღოს შეჯიბრებაში მონაწილეობა, უნდა წარმოადგინოს განცხადებები დაბეჭდილ კონვერტში ცნობით განყოფილების სალაროში გირაოთ 50.000.000 მანეთის შეტანაზე.

დაწვრილებითი პირობების გასაგებად მიმართეთ განყოფილების სამეურნეო ნაწილის უფროსს.

გუდაძე. სამმართველოს განყოფილების გამგე, პრეზიდიუმის წევრი: თაქთაქიშვილი.
ადმინისტრატიული ნაწილის უფროსი: ახვლედიანი.
კრ. 545 3—3

სახალხო ბანკის გამგეობა
ამით აცხადებს, რომ
1923 წლის 1 აგვისტოდან ამავე წლის 1-ლ სექტემბრამდე
საქართველოს ყოფილ ბანკებში
დაგირავებულ სახლების ვალის
გადასახდელად
როგორც მიმდინარე ნახევარი წლის
შემოსატანისათვის,
აგრეთვე მთელი ვალის ერთდროულ გადასახადისათვის ოქროს მანეთის კურსი იანგარიშებოდეს
ერთ მილიონ მანეთად
ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით.
კრ. № 54 1—1

დაიკარგა ნიკოლოზ დავითიშვილის სახელზე, გაცემული საბუღალტერო კურსების გათავების ატესტატი № 19, ჩაითვალოს გაუქმებულად. (ქვ. 1020—1—1)

დაიკარგა პასპორტი № 2096-ით ილია უფარეიშვილის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად (ქვ. 1018 1—1)

დაიკარგა საქართველოს საექიმო-სანიტარო კავშირის წიგნაკი № 2041-ით ანნა კოლომასკის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად. (ქვ. 1019 1—1)

საქართველოს სოციალისტურ საბჭოს რესპუბლიკის სახელმწიფო გამომცემლობა

ბალანსი 1 იანვარი 1923 წელი.

აქტივი.

1	ანგარიში კასისა .	4,674,751	
2	„ 5 პროც. გადასახადისა	92,988,000	
3	„ საბჭოთა რუსეთის ფულის ნიშნებისა ნომ. 6.076.136 350	141,321,230	238,983,981
4	„ წიგნების საწყობისა .		4,992,995,000
5	„ სახელდახელო მიმდინარე ანგარიში საქ. ბანკში		3,480,500
6	„ ავანსებისა		39,428,000
7	„ წიგნის მაღაზიისა № 1		2,601,451,960
8	„ „ № 2		4,041,863,920
9	„ წიგნების გამოცემისა		216,840,000
10	„ საქართველოს ცაკის		70,000,000
11	„ ქაღალდის საწყობისა .		719,126,450
12	„ დებიტორებისა .		516,772,250
13	„ მოძრავი ქონებისა		452,485,000
14	„ საბავშვო სამხატვრო სექციისა		2,774,000
			13,896,200,061

კრ. 549 1—1

პასივი.

1	ანგარიში კაპიტალისა	6,785,305,000
2	„ პოლიგრაფიულ განყოფილებისა	362,945,000
3	„ გარდამავალი თანხებისა კრედიტით	190,900,000
4	„ სახალხო განათლების კომისარიატი	2,028,778,000
5	„ კრედიტორები	803,292,920
6	„ 5 პროც. გადასახადისა	400,804,710
7	„ კომისართა საბჭოს	1,434,737,000
8	„ წმინდა მოგება 1922 წ	1,889,437,531
		13,896,200,061

სახელმწიფო გამომცემლობის გამგე: ვ. ზუმბაძე.

მთავარი ბუჰგალტერი: ა. ნადიროვი.